საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 25 ოქტომბერი, 2013 წელი.

№205 (7332)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

2003 წლის ნოემბერი. ზარი მოსკოვიდან

– Власть меняется на Абхазию

საკაშვილს ათი გვამი სჭირდებოდა!

იხ. 6-7 გვ.

ერის იმედს ბურჯად აგებს...

ვუძღვნი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ვუსურვებ წინსვლასა და გამარჯვებას.

მეფეთა-მეფე თამარის სახე,
ნათელს ასხივებს ტაძრის ფრესკიდან...
კაც პრეზიდენტთა ნაღვაწით ვნახეთ,
ჩვენი ქვეყანა როგორ შემცირდა.

ქეთევანს სწამდა, ტკივილს უსჯიან,
მის ხსოვნას ვერ შლის დრო და
მანძილი...
ქალი ოჯახის დედა-ბურჯია,
მტრობას ამარცხებს თეთრი მანდილით.

აფხაზეთი რომ ახლა სხვისია,
ვიცით, ვინც იყო მისი გამცემი,
ქალი მომავლის დასაწყისია,
აღიარეთ და გახდით კაცები.

თქვენ ხომ ბევრი ხართ, ქალი ერთია,
ნეტავ ვისგან ხართ
ნასწავლ-გაზრდილი?!.
მამა-პაპების ადათ-წესია,
არ იბღალება დედის მანდილი.

ნინო არ ითხოვს თქვენგან წყალობას,
წინაპრის სული ცაში გამკაცრდა,
რა პასუხს გასცემთ შთამომავლობას,
თუ დაარღვიეთ წესი ვაჟკაცთა.

ვის ექიშპებით და ებრძვით – იცით!
რატომ ვერ ხვდებით, რომ სცოდავთ
ღმერთთან,
ვერ გაექცევით მარცხსა და სირცხვილს,
ყველას გაჯობებთ აღებულს ერთად!

P.S.
ერის იმედს ბურჯად აგებს,
ნატრობს ქვეყნის გამთელებას,
ხმები მივცეთ ბურჯანაძეს,
უღალატო ქართველებმა!

ლეჩხუმელი
24.10.13



თენგიზ კალანდაძე: მარგველაშვილი უდავოდ გამარჯვებულია, მეორე ადგილი ბურჯანაძემ ღირსეულად უნდა დაიკავოს! 4

„მიმყრი, ენა, სარწმუნოება“

თუ მრავალი მამული, მრავალი ენა, მრავალი სარწმუნოება??? 3

არაფრისმქმნელ, ბიუჯეტის მხვრელ სამეთვალყურეო საბჭოებში პრეზიდენტობის კანდიდატ ბაქრაძის მეუღლეც ფიგურირებს 2

კაფე-ბარი მხოლოდ ქართველი ქალებისთვის 9

საზღვრების განმტკიცება რუსულად: საქართველოში აგებენ ღობურებს, აცხადებენ მეთვალყურეები 8

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ წინასაარჩევნო ფორიაქი

დაპირებები გრძელდება

7 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრის მონაკვეთში, საქართველოს რეგიონებში პოლიტიკური პარტიებისა და მათი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ 377 წინასაარჩევნო საჯარო შეხვედრა გაიმართა, –ამის შესახებ „სამართლიანი არჩევნებისა“ და „დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მე-6 შუალედურ ანგარიშშია ნათქვამი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ საარჩევნო მედიაცენტრში გაიმართა.

როგორც კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა „სამართლიანი არჩევნების“ იურისტმა ნინო ჯანაშიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, წინასაარჩევნო პერიოდში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 99 საჯარო შეხვედრა გამართა, მთავარი დაპირებები კი ეკონომიკის გაძლიერება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პენსიებისა და პედაგოგთა ხელფასების ზრდა, ასევე რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იყო.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“

კი ორგანიზაციის დაკვირვებით 85 საჯარო შეხვედრა გამართა. კანდიდატი მოსახლეობას დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებას, ეკონომიკის გაძლიერებას, მრავალპარტიულ მმართველობას, მთავრობის ეფექტურ კონტროლს და საქართველოს ევროატლანტიკური კურსის გაგრძელებას პირდებოდა.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანმა საქართველომ“ „სამართლიანი არჩევნების“ დაკვირვებით 76 შეხვედრა გამართა. მთავარი დაპირებები კი კონფლიქტების დარეგულირებას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარებას, ქვეყნის გაერთიანებასა და სამართლიანობის აღდგენას ეხებოდა.

„ქრისტიან-დემოკრატიულმა“ მოძრაობამ – 7 საჯარო შეხვედრა ჩაატარა, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ – 9, ხოლო კობა დავითაშვილის „ხალხის პარტიამ“ ნესტან კირთაძემ და „საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირმა“ – თითო-თითო შეხვედრა გამართეს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი დარღვევებიდან გამომდინარე, რაც მათ შორის პოლიტიკური ნიშნით ზეწოლასა და ფიზიკურ ანგარიშსწორებას უკავშირდება, „სამართლიანი არჩევნები“ გარკვეულ რეკომენდაციებს გასცემს. კერძოდ, ორგანიზაცია მოუწოდებს საჯარო მოხელეებს, თავი შეიკავონ მათდამი დაქვემდებარებული, თუ სხვა ნებისმიერი პირის მიმართ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლისგან.

ორგანიზაცია მოუწოდებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ დაუშვას საჯარო სკოლების, შენობების წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოყენება, ხოლო პოლიტიკური თანამდებობის პირებს მოუწოდებს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე არ დაუშვან რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა. ამასთან, „სამართლიანი არჩევნები“ ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს მიმართავს, თავი შეიკავონ წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებებისაგან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მოუწოდებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინონ რეაგირება საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნასა და ჩამოხევასთან დაკავშირებით და დამნაშავე პირებს დააკისრონ კანონით განსაზღვრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ინტერპრესი

◎ შინაგან საქმეთა სამინისტროში

ირაკლი ღარიბაშვილმა უწყების წლიური ანგარიში წარადგინა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს „2013 წლის ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი რეფორმის ფარგლებში განხორციელებული თუ მიმდინარე ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, როგორიც არის სამინისტროს დეპოლიტიზება, სამინისტროს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესება, კიბერდანაშულის წინააღმდეგ ბრძოლა, სამინისტროს მიერ ხარისხიანი მომსახურების გაწევა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება“.

2013 წლის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შს სამინისტროს დეპოლიტიზებას და რესტრუქტურიზაციას, რომლის ფარგლებშიც 2012 წლის ნოემბერში გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი), ხოლო მათ ნაცვლად შეიქმნა ანტიკორუფციული და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოები; ასევე, სამინისტროში შეიქმნა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

„2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საკანონმდებლო ბაზის დახვწას. 2013 წლის 4 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული ახალი კანონი „პოლიციის შესახებ“, რომელშიც ზედმიწევნით გაიწერა მთელი რიგი საპოლიციო ღონისძიებები, რასაც წინა კანონი არ ითვალისწინებდა. განხილვის ეტაპზეა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. შსს-ს მიერ შემუშავებულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები. შემუშავებული კანონპროექტების ნაწილი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად, ნაწილი კი მზადდება წარსადგენად“, – ნათქვამია ანგარიშში.

ამასთან, დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება შს სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებას.

„აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის მასშტაბით 30%-ით გაიზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა, რამაც გაზარდა საპატრულო პოლიციის მომსახურების არეალი და დაიფარა აქამდე აუთვისებელი რეგიონები – 2013 წლის 18 მარტს ფოთში, ხოლო 23 აგვისტოს ზესტაფონში გაიხსნა პოლიციის ახალი შენობები; 2013 წლის ბოლომდე დასრულდება 100-მდე სამშენებლო პროექტი, მათ შორის ჭიათურაში, საჩხერესა და გუდაურში პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა.

მიმდინარეობს საპატრულო პოლიციის ორი ახალი შენობის მშენებლობა იმერეთშიც. მიმდინარე წელს დაიწყო და 2014 წელს დასრულდება რიგი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა აჭარაში, იმერეთსა და კახეთში. მიმდინარეობს სპეციალური დანიშნულების რაზმების ბაზების რემონტი. უკვე აღდგენილია 6, ხოლო წლის ბოლომდე დაგეგმილია 4 სათვალთვალო კოშკურის აღდგენა“, – განმარტებულია ანგარიშში.

გარდა ამისა, 2013 წელს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრომ შეიძინა რამდენიმე ათეული საცხოვრებელი კონტეინერი და მესაზღვრეებისთვის საგუშაგო ჯიხურების მოწყობა დაიწყო.

„პირველად გაიმართა ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება. უცხოელი ექსპერტების დახმარებით, სხვადასხვა ქვედანაყოფები წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიან. სამინისტროში სტაჟირება გაიარეს სტუდენტებმა, მათი ნაწილი სხვადასხვა სამსახურებში დასაქმდა“, – აცხადებენ სამინისტროში.

◎ რეპლიკა

მიშას ვირუსი

მოგეხსენებათ, რომ ვირუსს თავისი მოქმედების გარკვეული პერიოდი აქვს. ის არ გრძელდება დაუსრულებლად და ექვემდებარება მკურნალობას. რაც შეეხება ვირუსს, რომელიც მიშას შეეყარა, განსაკუთრებული ჯიშისა გახლავთ. მედიცინაში ცნობილია მხოლოდ მისი შემადგენელი კომპონენტები, კერძოდ: ბოღმა, შური, ძალადობა, ტყუილი, სიბრიყვე. სამწუხაროდ, თანამედროვე მედიცინამ არ იცის ამ ვირუსის განკურნების საშუალებანი; იცის მხოლოდ ის, რომ პაციენტს ემუქრება ფატალური შედეგი.

ლონდა მდივანი

◎ განუკითხაობა

არაფრისმქმნელ, ბიუჯეტის მხვრელ სამეთვალყურეო საბჭოებში პრეზიდენტობის კანდიდატ ბაქრაძის მეუღლეც ფიგურირებს

მას შემდეგ, რაც ნაცებმა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები წააგეს, ნაციონალური მოძრაობის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიგი უგულავამ თავისი თანაპარტიელების დასაქმება იკისრა. მათთვის ახალ-ახალი თანამდებობები შემოიღო საკმაოდ მაღალი ხელფასებით. როგორც საკრებულოს წევრი უმრავლესობიდან მამუკა ქავთარაძე აცხადებს, მერიის დაქვემდებარებაში მყოფი 49 შპს-დან 4-ს სამეთვალყურეო საბჭოები შეუქმნეს. მათი წევრები საქმის არაპროფესიონალები არიან. მხოლოდ „ნაცმოძის“ პარტიული საქმიანობით არიან დაკავებულნი.

აღსანიშნავია, რომ სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმებულთ დედაქალაქის ბიუჯეტიდან დანიშნული აქვთ ხელფასები 2.500 ლარი. ასეთი 50 პიროვნებაა, რაც თბილისის მოსახლეობას ყოველთვიურად 125 ათასი ლარი უჯდება.

შეიქმნა საბჭოები **„ჰერმესი“, შპს „სინათლის ქალაქი“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** – 11-11 კაცის შემადგენლობით, **„თბილსერვისჯგუფში“** კი 10 კაცი დაასაქმეს. შთამბეჭდავია წევრთა ჩამონათვალი – **რუსუდან კერვალიშვილი, ვლადიმერ ვარძელაშვილი, გიორგი ასანიძე, კობა ხაბაზი, ხათუნა ოჩიაური, ვლადიმერ მაქაცარია, დავით ჯანიაშვილი, ეკა ხერხეულიძე, გიგა ნასარიძე** და ა. შ. უგულავას არც ამჟამად მოქმედი თავისი კოლეგები დავიწყნია და სამეთვალყურეო საბჭოში შეიყვანა გოკა გაბაშვილის მამა კოტე, პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის მეუღლე **მაკა მეტრეველი** და სხვ. არჩევნების წაგებიდან დღემდე, ამ ელიტარულ კოპორტას ქალაქის ბიუჯეტიდან მიღებული აქვს ხელფასის სახით 1 მლნ. 500 ათასი ლარი.

საკრებულოს ფრაქცია „თბილისელების“ წევრი მამუკა კაციტაძე არაა წინააღმდეგი, რომ შპს-ებმა მუშაობის გასაკონტროლებლად სამეთვალყურეო საბჭოები შექმნან, მაგრამ მასში ეჭვს ბადებს ის გარემოება, რომ სამეთვალყურეო საბჭოებს ქმნიან ის ორგანიზაციები, რომლებიც არარენტაბელურნი არიან და დოტაციას დედაქალაქის ბიუჯეტიდან იღებენ. ამ დროს კი ქმნიან მრავალრიცხოვან და მაღალანაზღაურებად საბჭოებს.

კაციტაძის განმარტებით, როდესაც მომგებიანი ორგანიზაციები მსგავს სტრუქტურებს ქმნიან, ისინი თავიანთი შეხედულებების მიხედვით განსაზღვრავენ წევრთა რაოდენობასაც და ხელფასაც. მერიის შპს-ებთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა. მომგებიან შპს-ებს სამეთვალყურეო საბჭოებს უგულავა უნიშნავს, იგი განსაზღვრავს წევრთა რაოდენობასაც... რომლებიც ხელფასს არა მოგებიდან, არამედ მერიის ბიუჯეტიდან ღებულობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციურმა დეპუტატებმა არაერთხელ მიმართეს მერს, გაეუქმებინა არაფრისმქნელი საბჭოები და გამონთავისუფლებული თანხები დედაქალაქის სოციალური პრობლემების მოგვარებისაკენ მიემართა. საკრებულომ ამასთან დაკავშირებით დადგენილებაც მიიღო, სადაც 29 ხმით 9-ის წინაღმდეგ, უგულავას მოსთხოვა ამ ხორცმეტი სტრუქტურების გაუქმება. მაგრამ, როგორც საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები ამბობენ, კანონი ისეა შედგენილი, რომ ეს მხოლოდ მერიის კომპეტენციაა და საკრებულოს ჩარევის უფლება არა აქვს.

დეპუტატები შპს-ების ხელმძღვანელებსაც გაესაუბრნენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ვერ ხედავენ სამეთვალყურეო საბჭოების შექმნის აუცილებლობას. წევრთა შესახებ კი ამბობენ, რომ ისინი არასპეციალისტები, არაპროფესიონალები არიან. ზოგმა ისიც კი არ იცის, ტერიტორიულად სად მდებარეობს სამეთვალყურეო ობიექტი. ხელფასებს პირდაპირ მერიაში იღებენ. ან როგორ ეცოდინება თავისი ობიექტი კობა ხაბაზს, როდესაც იგი ნაციონალების ხელდასხმულ ა/ო „თავისუფალ ზონას“ ხელმძღვანელობს და აქციებს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ატარებს (რასაკვირველია ხელისუფლების საწინააღმდეგოს).

პოლიტიკასთან თავის კავშირს უარყოფს პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი, ამჟამად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი **რუსუდან კერვალიშვილი.** იგი აცხადებს, რომ **საერთოდ არ არის პარტიული, პოლიტიკურ საკითხებში არ ერევა და მხოლოდ გენდერული პრობლემებით არის დაკავებული.**

თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში, პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე ომახიანად აცხადებს, რომ მთავარი ფუნქცია (არჩევის შემთხვევაში) იქნება კონტროლი მთავრობაზე. ისე კი აჯობებდა გაპრეზიდენტებამდე ყურადღება მიექცია მერიის მხრიდან საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ, კონკრეტულად ერთი პარტიის დასაფინანსებლად ხარჯვას, რაშიც, სამწუხაროდ მისი მეუღლეცაა ჩართული.

ზაზა ბილიხოძე

„მამული, ენა, სარწმუნოება“

თუ მრავალი მამული, მრავალი ენა, მრავალი სარწმუნოება???

რას ნიშნავს იყო ქართველი, ან სხვა ეროვნების ადამიანი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და მისი მოქალაქეა? გავიხსენოთ დიდი ილია მართლის სიტყვები: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ეს დევიზი საქართველოში მხოლოდ ეროვნებით ქართველ კაცს ეკუთვნის. თუ არანაკლებ გასათავისებელი უნდა იყოს ყოველი არაქართველისთვისაც, რომელიც დაიბადა, გაიზარდა, დაფრთიანდა საქართველოში, აქაური მოქალაქეა და ახლაც აქ ცხოვრობს?!

ვინ გასცემს სრულ და ამომწურავ პასუხს დასმულ კითხვაზე, იქნება თუ არა ეს პასუხი ერთი და იმავე შინაარსისა და მნიშვნელობის იმისდა მიხედვით, თუ ვინ და რა კრიტერიუმით განსჯის იმას, თუ რომელი პასუხი არის სწორი და სამართლიანი?

ჩვენმა სააგენტომ საჭიროდ ჩათვალა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიების წარმომადგენელი პასუხისმგებელი პირებისთვის მიემართა.

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი (შიიტი) ვაგიფ ალიეძფეროვი: „მე საქართველოს მკვიდრი ვარ, ეროვნებით აზერბაიჯანელი, ძირძველი თბილისელი, ჩემი მამული საქართველოა, მშობლიური ენა აზერბაიჯანულია, ხოლო სარწმუნოება – ისლამი, ის კი მომავლის რელიგიაა, იმიტომ, რომ ყველაზე პროგრესულია. კერძოდ, იმით, რომ მისთვის ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს – მთავარია გწამდეს იგი. გლობალიზმს კი, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ რელიგიურ მოვლენას, 21-ე საუკუნეში ვერავინ ვერც გაექცევა და ვერც წინ აღუდგება... ამავე დროს მე ვადასტურებ იმას, რომ დღესდღეობით უცხო ქვეყნის მუსლიმთა სასულიერო პირების მხრიდან არის მცდელობა ჩვენ, საქართველოს მუსლიმანებს, ჩვენთვის გარკვეულ შემთხვევაში მიუღებელი რჩევა-დარიგებები მოგვცენ. მიუხედავად ამისა მე, როგორც სრულიად საქართველოს მუსლიმთა შეიხი, კატეგორიულად ვუარყოფ იმას, რომ დღეს საქართველო რომელიმე მუსლიმანური სახელმწიფოს, კერძოდ, თურქეთის ან ირანის მხრიდან ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიას განიცდის და ეს იმიტომ, რომ აღნიშნულის დამადასტურებელ ფაქტს ან გარემოებას ვერ ვხედავ“.

საქართველოს ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი: „დღევანდელ საქართველოში, უდავოა, გლობალიზმმა შემოაღწია და ძირითადად დამკვიდრდა მხოლოდ თავისი უარყოფითი ნიშნებით. მისი დადებითი მხარე, რომელიც გამოიხატება მულტიკულტურების თანასწორ განვითარებაში, თანასწორუფლებიანობაში და მათ საყოველთაო აღიარებაში მიუხედავად ეროვნების, სარწმუნოების, სექსუალური ორიენტაციის, რასისა და კანის ფერის გათვალისწინების გარეშე, საქართველოში არანაირად არ მკვიდრდება. ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველოში დღემდე ბატონობს ფეოდალური მენტალიტეტი, რომლის მიხედვით პირველი ხარისხის, ანუ კლასის მოქალაქეს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნებით ქართველი და სარწმუნოებით მართმადიდებელი, სხვა დანარჩენი ქარველი ან, მით უმეტეს, ეროვნებით არაქართველი და არამართლმადიდებელი, აღიქმება ქვეყნის მეორეხარისხოვან, არასრულუფლებიან მოქალაქედ. სწორედ ამიტომ ისინი არ თვლიან საქართველოს თავიანთ სამშობლოდ. ამის მაგალითს წარმოადგენენ ქართველი მუსლიმანები, რომლებიც ქართველი მართლმადიდებლების მხრიდან დღემდე აღიქმებიან არასრულფასოვან ქართველებად. ეს კი სხვა აქ მცხოვრებ არაქართველ მოქალაქეებს იმის შესაძლებლობას არ აძლევს, თქვას საქართველო ჩემი სამშობლოაო. პირადად მე დღევანდელ საქართველოში ვერ ვხედავ რაიმე სახის ეკონომიკურ-რელიგიურ ექსპანსიას არც თურქეთის, არც ირანის და არც სხვა დანარჩენი ისლამური, თუგინდ ქრისტიანული, საქართველოში აღიარებული ან არაღიარებული კონფესიების მხრიდან. საქართველოს მიმართ ტერიტორიულ-ეკონომიკურ ექსპანსიას მე მხოლოდ რუსეთის მხრიდან ვხედავ“.

საქართველოს კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო: „როგორც წესი, მუსლიმანურ სახელმწიფოებში ქრიტიანობას და მის მრავალ კონფესიას გარკვეულწილად ზღუდავენ, რაც დაუშვებელია. ქრისტიანულ ქვეყნებში კი ისლამისტები და თავად ისლამი, ასევე მისი კონფესიები არანაირ შეზღუდვას არ განიცდიან. სწორედ ამით გამოირჩევა ქრისტიანობა, როცა ის აღიარებს და პატივს სცემს ნებისმიერ სხვა რელიგიას, მათ შორის ცხადია, ისლამს. ისლამი, როგორც სხვა ნებისმიერი რელიგია, თავისი არეალის გაფართოების პროცესში არ უნდა მიმართავდეს ეკონომიკურ ბერკეტებს და განსაკუთრებით მოსყიდვას. სამწუხაროდ ასე მაინც ხდება, ხოლო საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის მხრიდან მსგავს ფაქტებს ადგილი არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება. თუ განვიხლავთ, კერძოდ, ქართულ-თურქულ ურთიერთობებს, თურქეთის მოქალაქეები ბათუმის აეროპორტიდან ავტობუსებით გადაადგილდებიან სარფის საბაჟომდე, სასაზღვრო და საბაჟო შემოწმების გარეშე შემოდიან ქვეყანაში, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისას სასაზღვრო და საბაჟო შემოწმებას სხვასავით ჩვეულებრივ გადიან. ეს საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლების ურთიერთმოლაპარაკების შედეგია. აღნიშნული კი, ჩემი შეფასებით, იმას ადასტურებს, რომ თურქეთი ბათუმის აეროპორტსა და სარფში სახელმწიფო საზღვარს თავის ტერიტორიად აღიქვამს. არის თუ არა საქართველოში მეზობელი ისლამური ქვეყნების ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსია, ამაზე კარგი იქნებოდა დასაბუთებული პასუხი ქვეყნის ხელისუფლებას და ამავე დროს საქართველოს საპატრიარქოს გაეცა. რაც შეეხება გლობალიზაციას, ჩემი შეფასებით ის არ უნდა ნიშნავდეს პატარა ერების დიდ ერებთან შერწყმას, რის შედეგად ადგილი ექნება მცირე ერების ფაქტობრივ გაქრობას. გლობალიზმმა უნდა წარმოშვას ისეთი პროცესი, რომლის შედეგად მცირე ან დიდი ერი შეითვისებს ყოველივე სხვა დანარჩენი ერების დადებით თვისებებს, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, კულტურა და ა.შ. უნდა განადგურდეს. სწორედ ასეთი გლობალიზმი აძლიერებს, უპირველეს ყოვლისა, მცირე ერებს და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნულ ფაქტორს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც უკავშირდება ორმაგ მოქალაქეობას – აღნიშნულს უნდა ჰქონდეს საკმარისი ყოველმხრივი და აუცილებელი დასაბუთება და პირს არ ეძლეოდეს, როცა მისი ორმაგი მოქალაქეობა ემსახურება საქართველოს მიუღებელ მიზანს. პირადად მე ვარ იტალიის და საქართველოს მოქალაქე, რაზეც თავის დროზე ოფიციალური თანხმობა იტალიის ხელისუფლებამ მომცა. ჩემი მშობლიური ენებია იტალიური და ქართული. და, როგორც საქართველოს სასულიერო პირს, ჩემი ყველა ქმედებით არა მარტო მინდა პატივი ვცე საქართველოს, არამედ გამოვადგე კიდეც. სხვა შემთხვევაში ორმაგი მოქალაქეობა მიუღებელია და შედეგობრივად უარყოფითად აისახება როგორც საქართველოზე, ასევე იტალიაზე. აქვე აღვნიშნავ, რომ ქრისტიანობა თავისი არსებობის საწყის ეტაპზე, ვიდრე რომის იმპერიაში გავრცელდებოდა, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ტერიტორიაზე გავრცელდა და ნუ გვავიწყდება, რომ ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა ქრისტიანულ სახელმწიფოს, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორიას მოიცავდა, რასაც შემდგომ ჩრდილოეთ აფრიკასა და ბიზანტიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ისლამიზაცია მოყვა. რაც შეეხება თურქეთს, მის ტერიტორიაზე დღესაც განლაგდებიან და მოქმედებენ როგორც მართლმადიდებლური, ასევე კათოლიკური კონფესიების ეკლესიები. რაც შეეხება ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიებს თურქეთში, მის აღმოსავლეთ ნაწილში ისინი, სამწუხაროდ, ნანგრევებად არის ქცეული. შესაბამისად, არც ერთი მათგანი არ მოქმედებს, ხოლო იქაურ ქართველობას ისლამი აქვს მიღებული და ეს მაშინ, როცა საქართველოში, ფაქტობრივად, ისლამი არ იდევნება, არც იზღუდება, ქვეყნის ტერიტორიაზე კი ასობით მეჩეთი მოქმედებს. საქართველოს ხელისუფლებამ და საპატრიარქომ დაჟინებით (დიპლომატიური ბერკეტების გამოყენებით) უნდა მოითხოვონ თურქეთში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების ნაგებობისა და წესების აგების აღდგენა, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველი მუსლიმანები არ უნდა განიცდიდნენ რაიმე სახის ზეწოლას ან აკრძალვას თუ გაქრისტიანებას დააპირებენ. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებამ და საპატრიარქომ უნდა გამოიყენონ საერთაშორისო შესაბამისი მოქმედი ნორმატიული მოთხოვნები. თურქეთში მართლმადიდებლური ეკლესიების ამოქმედების შემდეგ ამ სახელმწიფოს ხელისუფლება არანაირად არ უნდა ზღუდავდეს ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმანების გადასვლას მართლმადიდებელ სარწმუნოებაში. მით უმეტეს, რომ ყველასთვის ცნობილია, რომ თურქეთის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, რომელიც თავის დროზე საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში იმყოფებოდა, ცხოვრობენ ქართული ეთნოსის წარმომადგენლები – ლაზები, ჭანები. ის ფაქტი, რომ თურქეთი, მიუხედავად ევროსაბჭოსა და ნატოს წევრობისა, არ არის ევროკაშვირის წევრი ქვეყანა, რის გამოც მისი უფლებები ევროპასთან მიმართებაში შეზღუდულია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ევროპის ქვეყნებში ამჟამად უამრავი თურქი ცხოვრობს. ეს, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ ევროპის ქვეყნებს, რომელთა უმრავლესობა ქრისტიანულია, არ სურთ ისლამის, როგორც რელიგიის გაბატონება“.

თბილისის პეტრე-პავლეს კათოლიკური ეკლესიის პადრე (მღვდელი-მამა) მაჩეი: „ვინც ქადაგებს იმას, რომ ისლამი მომავლის რელიგიაა, ძალიან ცდება. სინამდვილეში სამომავლოდ თუ მსგავს მოვლენას ექნება ადგილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამით უფალმა დასაჯა ქრისტიანული სამყარო, მათ შორის საქართველო. ამ სასჯელის ღირსი იქნება ყველა ქრისტიანი, მაგრამ მე, პირადად, როგორც ქრისტიანი სასულიერო პირი, დარწმუნებული ვარ, რომ დადგება დრო, როცა ქრისტიანული რწმენის რელიგიური კონფესიები გაერთიანდებიან და ადგილი არ ექნება ამჟამად არსებულ ე.წ. დაყოფას კათოლიკებად, მართლმადიდებლებად, პროტესტანტებად, ლუთერანებად, ბაპტისტებად, ხოლო აღნიშნული გაერთიანების შედეგად დედამიწაზე ყველასთვის სანატრელი მშვიდობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა დამკვიდრდება.

საქართველოს მთავარი რაბინი აბეშაი ბათაშვილი: „ყველა ებრაელისთვის, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და დავაჟკაცდა საქართველოში (და ეს გრძელდება სამი ათასი წლის განმავლობაში), მშობლიური ენებია ებრაული (ივრითი) და ქართული. რაც შეეხება სამშობლოს, მათთვის სამშობლო ისრაელია და საქართველო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ებრაელების ცხოვრების მთელი ხნის მანძილზე არც ქართველებისგან, არც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არანაირი სახის და ფორმის შევიწროება, მით უმეტეს დევნა, არასდროს განუცდიათ. საქართველოში ებრაელები იმავე უფლებებით სარგებლობდნენ და დღესაც სარგებლობენ, როგორითაც ნებისმიერი ქართველი სარგებლობდა და სარგებლობს. სწორედ ამიტომ საკამათო არ არის ის, რომ საქართველო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე ნებისმიერი ერის და სარწმუნოების მიმართ მუდამ ტოლერანტული იყო. რაც შეეხება მომავალში დედამიწის მოსახლეობის საყოველთაო გამუსლიმანებას, მე ვიტყოდი, რომ ეს ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს მრავალი ათასწლეულის ისტორიის მქონე იუდაიზმზე. იუდაიზმი, როგორც რელიგია, იყო წარსულში, არის აწმყოში და იქნება მომავალში. ამავე დროს მინდა აღვნიშნო, რომ იუდაიზმი, როგორც რელიგია და მისი სასულიერო თავკაცები არანაირი ფორმით არსად არ ეწევიან მის პროპაგანდას, მათ შორის, საქართველოში იმ მიზნით, რომ სხვა რელიგიური მრწამსის წარმომადგენლები, მათ შორის მართლმადიდებლები იუდეველები გახადონ. ეს ღმერთის ნებაა. დაბადებიდან ყველა ებრაელი რწმენით და სარწმუნოებით იუდეველია და ამ უნიკალურმა შერწყმამ მრავალჯერ გადაარჩინა ებრაელი ერი, რომლის წარმომადგენელი მეც ვარ, აბეშაი ბათა შვილი, ყველა ქართველს კი, რომელიც დღეს ცოცხლობს ამ მადლიან ქვეყანაში და დაიბადება მომავალში, ასევე რწმენის სიმტკიცეს ვუსურვებ. დავამატებ, რომ საქართველოდან წასული ებრაელები, რომლებიც ამჟამად ისრაელში ცხოვრობენ და მისი მოქალაქეები არიან, პირად ურთიერთობებში, როგორც წესი, ახლაც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ, რასაც ისრაელის მოსახლეობა დადებითად აფასებს. ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი საქართველო, ჩემი მშობლების სამშობლო (მე დავიბადე ისრაელში) დალხენილი და აყვავებულია, ჩემი ღრმა რწმენით ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ყველა ქართველი სულით, შინაგანი რწმენით და ქცევით დევიზს „მამული, ენა, სარწმუნოება“ გაისისხლხორცებს. სწორედ ასეთი საქართველოს არსებობა და მომავალია ყოველივე იუდეველისთვის მისასალმებელი“.

თბილისის სომხური სამოციქულო წმინდა ეკლესიის (ავლაბარი) დიაკვანი გიორგი ანტონიანი: „უდავოა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში თავს ნათლად იჩენს თურქეთისა და სხვა მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსია, რაც ძალზე საგანგაშოა და საშიშია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის. მე, თბილისელი სომეხი, ორი მშობლიური ენის პატრონი ვარ – სომხურისა და ქართულის. ასევე ორი სამშობლო მაქვს: სომხეთი, როგორც ისტორიული და საქართველო, როგორც ქვეყანა, სადაც დავიბადე, გავიზარდე, დავკაცდი და მის ერთგულ მოქალაქედ ვთვლი თავს. რაც შეეხება სარწმუნოებას, ქართველები და სომხები ერთი სარწმუნოებისანი ვართ. ჩემი და უფროსი თაობის სომხების, საქართველოს მოქალაქეების შეფასებით, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, აქ არ ყოფილა არც ერთი ფაქტი, რომ სომეხი ან რომელიმე სხვა არაქართველი ეროვნების ადამიანის უფლებები რამენაირად იზღუდებოდეს იმ ნიშნით, რომ ისინი არაქართველები არიან“.

მესტია-ზემო სვანეთის ეპარქიის, სოფელ ეცერში მოქმედი ეკლესიის წინამძღვარი მამა იესები: „მრევლის ერთ ჯგუფთან ერთად ვაპირებ ჩასვლას ტაო-კლარჯეთში, რათა მოვინახულოთ საქართველოს მართლმადიდებლური ტაძრები და შეძლებისდაგვარად ჩავატაროთ იქ მსახურება, რასაც თურქეთის ხელისუფლება, ჩვეულებრივ, კრძალავს. ჩემთვის ცნობილია, რომ იქაურ დანგრეულ ეკლესიებში ჩვენი ჩასვლის დროს იქ მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებს სურვილი აქვთ შემოგვიერთდნენ და ჩვენთან ერთად ილოცონ, რაც ძალზე მისასალმებელია“.

დეკანოზი თეიმურაზ მჟავანაძე (სიონის ტაძრის მღვდელი, სასულიერო აკადემიის დეკანი): „ამჟამინდელ საქართველოში მოსახლეობის მცირე ნაწილის ისლამიზაციის ნიშნები და ზოგიერთი ქართველი მუსლიმანის უსაფუძვლო აგრესიულობა მართლმადიდებლობის მიმართ აშკარად ჩანს და ამის არდანახვა შეუძლებელია. მართლმადიდებლური ეკლესია ძალის გამოყენებით ვერ და არ შეებრძოლება ქვეყნის ისლამიზაციას. ყველა ქართველი მართლმადიდებლისთვის მშობლიური ენა ქართულია, მამული საქართველოს მიწაა და სარწმუნოება ერთადერთია – ქრისტიანულ-მართლმადიდებლური. ყველა მაჰმადიან ქართველს უნდა ახსოვდეს, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, რომლებიც მოტყუებით, მოსყიდვა-მოქრთამვით ან ძალდატანებით გახადეს მუსლიმანები. საქართველო არა ისლამური, არამედ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურია და სწორედ ამიტომ ყველა მუსლიმანი ქართველი გმირების ტოლფასად მოიქცევა, თუ მშობლიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას დაუბრუნდება. ერთი ენის, ერთი მამულისა და ერთი სარწმუნოების საქართველო ძლიერი ხვალინდელი საქართველოს საწინდარია. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ერთად ერი და ბერი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში არაქართველი ეროვნების ან რელიგიური მრწამსის ადამიანების უფლებები რაიმე სახით ან ფორმით შეიზღუდება. საქართველო ის ქვეყანაა, რომლის ეროვნულ ძირს ქართველები წარმოადგენენ, ვისაც სხვა ერების და სარწმუნოების მიმართ ტოლერანტობა გასისხლხორცებული აქვთ.

ჩვენი სააგენტო ზემოთ მოყვანილი დოკუმენტური მასალის გათვალისწინებით საჭიროდ არ მიიჩნევს რაიმე შემაჯამებელი დასკვნის გამოტანას იმის გამო, რომ უფრო მნიშვნელოვნად ვთვლით, დასკვნა თავად მკითხველმა გააკეთოს. და თუ ჩვენი პუბლიკაცია მკითხველთა განსჯის საგანი გახდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ იგი დროული და მართებულია

თეიგიზ ჩხიკვაძე,

ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

თენგიზ კალანდაძე:

მარგველაშვილი უდავოდ გამარჯვებულია, მეორე ადგილი ბურჯანაძემ ღირსეულად უნდა დაიკავოს!

დღეს, როცა ბიძინა ივანიშვილზე, როგორც პრემიერ-მინისტრზე, ანუ პოლიტიკოსზე საუბრობენ, რატომღაც ავიწყდებათ მისი უახლოესი წარსული — არაპოლიტიკოსი, ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ჩაბნელებულ საქართველოში ერთ-ერთ, თუ ერთადერთ არა, ნათელ წერტილად აღიქმებოდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. თუმცაღა, ეს არ ავიწყდებათ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან სხვათა დახმარების ფასი, იციან, თუ რაოდენ ღირსეული და მნიშვნელოვანია გაჭირვებულისათვის ხელის გამართვა, თუ როგორ აზროვნებს პიროვნება, რომელიც მოტივირებული და შემართულია საქმის გასაკეთებლად...

სწორედ ასეთი გახლავთ ჩვენი რესპონდენტი თენგიზ კალანდაძე, რომელიც ორი მოწვევის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი იყო და ორჯერვე თითქმის აბსოლუტური უპირატესობით აირჩიეს მაჟორიტარად აბაშის რაიონში. ამდენად, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება მისი მოსაზრებები და შეხედულებები მოახლოებული არჩევნების წინ.

— ბატონო თენგიზ, თქვენ კარგად იცით წინასაარჩევნო გარემოს ფასი. როგორ ფიქრობთ, დღეს რამდენად სამართლიანი და თანაბარი მარათონია გაჩაღებული ქვეყანაში?

— უნდა გითხრათ, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ეს არის უპრეცედენტო საარჩევნო გარემო: დაბალანსებული, მშვიდი, ობიექტური. მრავალ არჩევნებში მიმიღია მონაწილეობა, ამდენად, მართლაც კარგად ვიცი, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს წინასაარჩევნო პერიოდს. ის, რომ საარჩევნო გარემო აშკარად გაუმჯობესებულია, ალბათ, ამას ყველა გრძნობს და ხედავს. საერთაშორისო დამკვირვებლები ამაზე საჯაროდ და ღიად საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო ბატალიებია.

— ამის პრეცედენტი ახალმა ხელისუფლებამ შექმნა...

— უდავოდ, ისიც ხომ ახალი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ასე მშვიდობიანად მოხერხდა ძველის შეცვლა, რისი გამოცდილებაც ჩვენდა სამწუხაროდ, უკანასკნელი 2 ათეული წლის განმავლობაში არ გვქონდა.

— მაგრამ, ამის მიუხედავად, ახალ მთავრობას მაინც მწვავედ აკრიტიკებენ, თუნდაც სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაგვიანების გამო.

— მაინც რა იყო ჩვენი, ხალხის მოლოდინი? — ეს იყო სამართლიანობის აღდგენა. მაგრამ ეს გვინდოდა ერთ დღეში მომხდარიყო? ჩემი აზრით, ის გზა, რაც ხელისუფლებამ აირჩია და ის ფორმა, როგორადაც ამას აკეთებს, აბსოლუტურად მისაღებია. სიმართლის დადგენას დრო სჭირდება, ხოლო ანგარიშსწორებითა და შურისძიებით აღდგენილი სამართლიანობა კიდევ უფრო მეტ თავსატეხს გაუჩენდა ქვეყანას.

— თქვენ, ალბათ, გულისხმობთ დასავლეთელ პარტნიორებს, ევროატლანტიკურ თანამეგობრობას, რომლისთვისაც დემოკრატიული ფასეულობები უფრო ღირებულია, ვიდრე იურიდიულად დაუდასტურებელი სიმართლე, თუნდაც ამის შესახებ თეორიულად ყველამ იცოდეს?

— რა თქმა უნდა. ჩვენ უნდა დავადგეთ ევროპულ გზას. სხვა არჩევანის ალტერნატივა ქვეყანას არა აქვს. აქედან გამომდინარე, ახალი ხელისუფლებისა და ძველი ხელისუფლების საგარეო ორიენტაცია ერთი და იგივეა, იმავე ვექტორზე რჩება. ეს არის ევროკავშირთან ინტეგრაცია, ნატოში გაწევრება. ეს კურსი უნდა შეინარჩუნოს ნებისმიერმა ხელისუფლებამ. მაგრამ აქ არის ერთი საგულისხმო ფაქტორი — სიხისტე მეზობელ რუსეთთან, რომელიც არაფერში გვარგია. ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვნახოთ ამ ქვეყანასთან საერთო ენა. იმის მიუხედავად, რომ მასთან კონფლიქტურ სიტუაციაში ვართ, აგრესორია და ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები. უკვე ერთი წელიწადია ჩვენ გვყავს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი ბატონი ზურაბ აბაშიძე, რომელიც პირდაპირ მოლაპარაკებებს აწარმოებს რუსეთთან. გაიხსნა ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის, შესაძლოა, მოიხსნას სავიზო რეჟიმი, აღდგეს სატრანსპორტო მიმოსვლა, რაც საწინდარია უფრო ღრმა და შინაარსიანი თანაცხოვრებისა.

— ასეთ „დათბობას“ ზოგიერთები საშიშროებადაც აღიქვამენ, თითქოს ეს გაართულებს დასავლეთთან ინტეგრაციასო...

— ევროპული გზა საქართველოსთვის ახალი არ არის. ეს არ არის ნაციონალური მოძრაობის დამსახურება. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ქართველი ხალხის არჩევანი იყო ევროპული გზა. შევარდნაძის ხელისუფლებას, ჩემი ჩათვლით, ამ საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის. უბრალოდ, ნაციონალებმა კარგად იმუშავეს პიარის თვალსაზრისით და... უამრავი ფული დახარჯეს ლობისტურ კომპანიებში... ახლა, ერთ წელიწადში ამის შეცვლა რთულია. მათ ჰქონდათ ფასადური დემოკრატია და შეფუთულად მიეწოდებოდა სიმართლე დასავლეთს. ჩემი აზრით, ამიერიდან ეს პრობლემაც მოგვარდება.

— ძალიან გამოკვეთილი პოზიცია გაქვთ დასავლეთთან დამოკიდებულებისას, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც აშინებთ იქ გამეფებული ზედმეტი ლიბერალიზმი. თქვენ რას ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, ლიბერალური მიმართულება გამართლებულია. ამის გამო კამათიც კი მიწევს. ჩემ გარშემო ბევრს არ მოსწონს მაგალითად, კოალიციაში შემავალი რესპუბლიკური პარტია, რომელიც ამ მხრივ გამოკვეთილია. ამ პარტიას 30-წლიანი გამოცდილება აქვს, მაგრამ 1-2 პროცენტზე მეტი ვერასოდეს აიღო. ისინი საზოგადოებას არ მოსწონს. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, მთავარია, მას გავუძლოთ, სხვაგვარად ერი გაირიყება. ლიბერალური მიდგომა ამა თუ იმ საკითხის მიმართ მსოფლიო ღირებულებების თვალთახედვით ნიშანდობლივი თვისებაა. თუკი ქვეყანას მართავს ლიბერალი ხელისუფლება, მას შანსი აქვს განავითაროს დემოკრატია, „გაიზარდოს“ საზოგადოება, აღორძინდეს ეკონომიკა, ოღონდ, აუცილებლად ტრადიციებისა და ეროვნული ფასეულობების პატივისცემითა და შენარჩუნებით.

— როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ბუნებით ლიბერალია. ალბათ, ის ასეთივე პოლიტიკოსად დარჩება, მისი ეს თვისება ხომ არ შექმნის საფრთხეს, რომ მივიღოთ კვლავ ერთპარტიული ვერტიკალი, მეტიც, ავტორიტარიზმი?

— მარგველაშვილი, მართლაც ლიბერალია. რატომ გვავიწყდება რომ ის არ არის პარტიული. მას აქვს თვისება (გამოცდილებაც) ყველა დონეზე ღირსეულად წარმოაჩინოს საქართველო. მონაწილეობდა სამთავრობო ღონისძიებებში, ხვდებოდა დიპლომატიურ კორპუსს, გათვითცნობიერებულია წარმომადგენლობით ორგანოებში... რაც შეეხება ავტორიტარიზმს, ამის საშუალებას მას კოალიცია არ მისცემს. თუნდაც იმიტომ, რომ მასში შემავალი პარტიები ერთ ვერტიკალზე არ სხედან. მათ სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მიმართულება და გეზი აქვთ, თუმცა კი გუნდურობას ინარჩუნებენ. დღეს უადგილო მგონია საუბარი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე, რადგან საკმაოდ ბევრი პარტიაა წარმოდგენილი, თუნდაც კოალიციის სახელით. რაც მთავარია, იგრძნობა, რომ კოალიციაში აზრთა ჭიდილია. ამ გადასახედიდან სრულიად წარმოუდგენელია, რომ ისინი ოდესმე ერთ ვერტიკალზე მოექცნენ... მე კარგად ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია პარლამენტში წარმოდგენილი იყოს რაც შეიძლება მეტი პარტია. ჩემი პარლამენტარობის დროს საკმაოდ მრავალპარტიული იყო საკანონმდებლო ორგანო, მაგალითად, 2003 წელს ვიდრე „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა მაშინდელმა სახელისუფლებო გუნდმა, თავის მაჟორიტარებიანად 35 პროცენტი აიღო, დანარჩენი 8 თუ 10-მა პარტიამ გაინაწილა.

— თქვენ რას ფიქრობთ პრემიერის წასვლაზე?

— მსოფლიო პოლიტიკაში იშვიათად ხდება ასეთი რამე, როცა ადამიანი თავისი ნებით მალევე მიდის თანამდებობიდან. ის ამ მანევრით ამსხვრევს მითს ბელადმანიაზე, რომელიც ასე მძლავრობს საქართველოში.

სხვათა შორის, როცა დეპუტატი ვიყავი, შევარდნაძისთვის არაერთხელ მიკითხავს, ვინ არის ეს ივანიშვილი-მეთქი. ჩემთანაც იშვიათად მოდისო, მიპასუხებდა. 90-იანი წლებიდან გამოჩნდა ეს კაცი, რომელიც საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა ადამიანებს. მას მაშინ ძალიან ცოტა თუ იცნობდა, ხოლო თვითონ ხომ საერთოდ არ იცნობდა იმათ, ვისაც ეხმარებოდა. მაშინ პოლიტიკა არც აინტერესებდა. ეტყობა, მოგვიანებით, სამშოლოს სიყვარულმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი, რომელმაც ერს „სამება“ აუშენა, არ შეიძლება პატრიოტი არ იყოს. როცა „სამება“ შენდებოდა, პროცესებში მეც ვმონაწილეობდი. ერთ-ერთ შეხვედრაზე ითქვა, პატრიარქის თანხმობით ივანიშვილს უნდა ვსთხოვოთ, 10 მილიონით შეგვეწიოსო. მეორედ რომ შევხვდით, გაოცებული იყო შევარდნაძე: ივანიშვილმა მოითხოვა პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის კონტროლის უფლება. ყველაფერს ის დააფინანსებსო.

ყველამ კარგად იცით, რომ მან არაფრისგან დაიწყო და შექმნა ბიზნეს-იმპერია, ის უძლიერესი მენეჯერია. პოლიტიკოსობაზე მაინცდამაინც არც თვითონ დებს თავს. ის პოლიტიკიდან მიდის! რაც მთავარია, მან შეძლო და გარდატეხა მოახდინა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებასა და ჩვენს ცნობიერებაში.

— კოჰაბიტაციაც, რაღაც სრულიად ახალი სინდრომია ქართული ყოფიერებისა. ესეც ივანიშვილისეული პოლიტიკის დამსახურებაა...

— კოჰაბიტაცია მტკივნეული საკითხია. მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ოჯახს შეეხო უსამართლობა, ამიტომ ეჩქარებათ ამ პროცესის დასრულება. ჩემი გადასახედიდან, კოჰაბიტაცია აუცილებელია, ოღონდ ეს არ ნიშნავს დაუსჯელობას. პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც ადამიანთა წამებაში მონაწილეობდა, ვინც ელიტარულ კორუფციაში იქნება მხილებული, ვინც სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდა. მაგრამ ვინც სისტემაში იყო დასაქმებული, იყო საჯარო მოხელე და საქმეს პატიოსნად აკეთებდა, იმან რა დააშავა?! მოძალადე ხელისუფლება გვყავდა და რომ არა ივანიშვილი, რომელმაც შეძლო პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია, კიდევ 50 წელიწადი გვეყოლება. ერთი წელიწადი საკმაოდ არაკომფორტულ, მეტიც, მძიმე სიტუაციაში უწევდა მთავრობას ქვეყნის მართვა, თუმცა, როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები ჩამთავრდება, ვითარება დაბალანსდება.

— ხელისუფლების დამსახურების მიუხედავად, შეიძლება მარგველაშვილს გაუჭირდეს ხმების მობილიზაცია და პირველივე ტურში გამარჯვება.

— არა მგონია. ჩემი აზრით, მარგველაშვილი უდავოდ გამარჯვებულია! თუმცა ნინო ბურჯანაძემ ღირსეულად უნდა დაიკავოს მე-2 ადგილი. როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს მე მას დიდ პატივს ვცემ.

— როგორც აბაშის გულშემატკივარს, უნდა გკითხოთ იქ მაცხოვრებელთა განწყობაზეც. ბოლო დროს მომხდარ ინციდენტზე, როცა „ქართული ოცნების“ და ნაციონალების წარმომადგენლები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

— ვამაყობ, რომ აბაშელი ვარ. იქ დავიბადე და გავიზარდე. ყველა აბაშელი ჩემთვის ახლობელი და მეგობარია. კარგად შენიშნეთ, მართლაც, აბაშის დიდი გულშემატკივარი ვარ. 1992 წლის არჩევნებში 98 პროცენტმა დამიჭირა მხარი და დეპუტატის მანდატი მანდო.. რაც შემეძლო მათთვის გავაკეთე და დღესაც შესაძლებლობის ფარგლებში არავის დავზარდები დახმარებას. ამას წინათ აბაშის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვუხდი ჩემს თანაქალაქელებს. კითხვა — რა ხდება აბაშაში? ისევ აქტუალურია.

— დიახ, ისე ჩანს, რომ აბაშაში ვერ შედგა კოჰაბიტაცია?

— არა, რატომ? — შემდგარია, უბრალოდ, ეს პროცესი იქ როგორც ყველგან, ძნელად მიმდინარეობს. იმ დაპირისპირებაში, რომელიც ამას წინათ მოხდა, მე როგორც ვიცი, უფრო პიროვნული გაუგებრობა იყო, ვიდრე პარტიული ანგარიშსწორება.

აბაშაში გონიერი ხალხი ცხოვრობს. ამიტომ ასეთი გაურკვევლობა და ინციდენტები არჩევნებზე გავლენას ვერ მოახდენენ. ჩემი გათვლებით, დაახლოებით 70 პროცენტი „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაუჭერს მხარს. ამ რაიონში იციან ადამიანების ფასი, ერთგულების მნიშვნელობა და რაც მთავარია, აბაშელები ყოველთვის სახელმწიფოებრივად აზროვნებდნენ და თავისი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის მშენებლობის საქმეში... ასეა ახლაც!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ კვალი დროში

ვალმოხდილი – მარადისობაში!..

დღეს საქართველოს საზოგადოება აღნიშნავს აკადემიკოს თამარ დეკანოსიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

ის გახლდათ გამოჩენილი პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში სამედიცინო კადრების აღზრდის ამაგდარი, ქართული პათოლოგანატომიური სკოლის აღიარებული ლიდერი, წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე და საქართველოს მთავარი პათოლოგანატომი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქვეყნის 1990 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი, საპატიო თბილისელი, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოში პათოლოგიური ანატომიის სამსახურის განვითარება განუხრელად იყო დაკავშირებული თ. დეკანოსიძის სახელთან, ხოლო 70-იანი წლებიდან თითქმის დღემდე მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართებოდა.

ქალბატონი თამარის ხელმძღვანელობით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრამ, შემდეგ კი საქართველოს პათოლოგანატომიურმა სამსახურმა, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოში თანამედროვე სამედიცინო აზროვნების განვითარებაში, პროფესიული სამედიცინო კადრების მომზადებაში, ქვეყანაში თანამედროვე მეცნიერული მედიცინის განვითარებასა და დამკვიდრებაში, სამედიცინო-ბიოლოგიური მიმართულების სამეცნიერო კვლევათა დაგეგმვა-განხორციელებაში.

ქალბატონი თამარი ბრძანდებოდა პათოლოგანატომიური სამსახურის მოდელის შემქმნელი და დამკვიდრებელი არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც, რითაც თბილისი იქცა კავკასიაში პათოლოგიური ანატომიის პრაქტიკულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრად.

მის მიერ დასმული რამდენიმე ათეული ათასი დიაგნოზი – ეს განსაკუთრებული წვლილია ქართული კლინიკური მედიცინის განვითარებაში.

განუსაზღვრელია თ. დეკანოსიძის ღვაწლი ახალგაზრდა მკვლევართა მომზადების საქმეში. რამდენიმე ასეულს აღწევს იმ საკვალიფიკაციო ნაშრომთა რიცხვი, რომელთა ოფიციალური თუ არაოფიციალური ხელმძღვანელი და კონსულტანტიც იყო ქალბატონი თამარი. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შესრულებული მრავალი სამეცნიერო გამოკვლევით:

- დამტკიცდა ნერვულ-ქსოვილოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბება ემბრიოგენეზის ადრეულ სტადიაში – სამივე ჩანასახოვანი ფურცლის ჩამოყალიბებისთანავე, რითაც შეიცვალა მანამდე არსებული წამოდგენა ემბრიოგენეზის პროცესზე საერთოდ და, ნერვულ-ქსოვილოვან ანატომიურ-ფუნქციურ ურთიერთობებზე კერძოდ (მიღებულია ონტოგენეზის საერთაშორისო სიმპოზიუმზე პილზენში 1960 წელს);

– შეიცვალა მიოკარდიუმის ინფარქტის მკურნალობის სტრატეგია ყოფილ საბჭოთა კავშირში: მიკარდიოციტების აღდგენის ნაცვლად, პრიორიტეტული გახდა ნაწიბურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა (ოფიციალურ სტრატეგიად დამტკიცდა 1970 წელს);

– შეიქმნა მიმართულება დაბერების პროცესის მორფოლოგიური საფუძვლების კვლევისათვის და შემუშავდა ამ კვლევის სტანდარტი (დამტკიცებულია გერონტოლოგთა საერთაშორისო კონგრესეზე კიევში 1971 წელს, როგორც გეროგენული ცვლილების შესწავლის პროგრამა);

– ჩამოყალიბდა „კომპენსაციისა“ და „შეგუების“ პროცესების ნერვულ-ქსოვილოვანი საფუძვლები (აღინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე თარხნიშვილის სახელობის პრემიით 1962 წელს);

ქალბატონ თამარ დეკანოსიძის სახელსა და მოღვაწეობას უშუალოდ უკავშირდება საქართველოში სამედიცინო განათლების სისტემის რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია, მოძრაობა აწ გარდაცვლილ ღირსეულ მამულიშვილთა სახელებისა და ღვაწლის ღირსეულად წარმოჩინებისა და დაფასებისათვის (მოძრაობა „კვალი ნათელის“ შექმნა), საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე დგომა (მარტო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების გამოძიების ისტორიაც კმარა, როდესაც სწორედ ქალბატონი თამარის შეუპოვრობამ, დაფუძნებულმა უმაღლეს პროფესიონალიზმზე, აიძულა საბჭოთა იმპერია, ეღიარებინა ჰუმანური და ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელი ქმედებები საქართველოში).

გამორჩეული პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული თამარ დეკანოსიძე უშურველად უზიარებდა დიდ ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას მეგობრებსა და კოლეგებს, მოწაფეებსა თუ სრულიად უცხო ადამიანებს, თავისი პროფესიული და საზოგადო მოღვაწეობის გზაზე რომ შეახვედრებდა ბედი. ფართო ერუდიცია, გასაოცარი ანალიზური აზროვნება და უდიდესი შრომის უნარი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევდა ადამიანებში. სიცოცხლის ბოლოს მუშაობდა ინფორმაციული კავშირისა და უკუკავშირის პრინციპებით რეგულაციისა და თვითრეგულაციის სინერგეტიკული თეორიის ორიგინალური მიმართულების შემუშავებაზე.

იცხოვრა და იღვაწა სამშობლოსათვის, მედიცინისათვის, მომავალი თაობებისათვის. მთელი მისი ცხოვრება იმის ღირსეული მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო დარგს, მეცნიერებას, თაობების აღზრდას, სამშობლოს, როგორ უნდა იცხოვრო, რომ საფუძველი ჩაუყაროს ქვეყნის უკეთეს მომავალს.

ქალბატონი თამარი ვალმოხდილი დაემკვიდრა მარადისობაში!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი;
საქართველოს პათოლოგანატომთა ასოციაცია.

◎ კითხული კაცის პოზიცია

შინაური მტრების შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ

რუსეთის საზღვრებში საქართველოს დაბრუნების პროცესის დასაწყისი შევარდნაძის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის პოსტზე ყოფნის დასაწყისშივე უკუაგდო გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს გალის რეკომენდაცია კონფლიქტის ზონებში გაეროს სამშვიდობოების ჩაყენების შესახებ, და სამაგიეროდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში რუსი ჯარს სამშვიდობოების სტატუსის მინიჭებით ეს რეგიონები მან რუსეთს დეფაქტოდ ჩააბარა.

საქართველოს რუსეთის საზღვრებში დე იურე დაბრუნების პროცესის გაგრძელება სააკაშვილის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც ჯერ ბუნებრივი რესურსები და ენერგეტიკული სისტემა რუსეთს ჩააბარა, შემდეგ ეროვნული ხელისუფლების მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთი აღადგინა და მას ახალგორი, ხოლო აფხაზეთს კოდორის ხეობის დიდი ნაწილი მიუერთა და რუსეთთან ომი წამოიწყო, რითაც რუსეთს საფუძველი შეუქმნა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დე იურედ ეღიარებინა (აფხაზეთში დღეს ეროვნული უმრავლესობა სომხები არიან). თურქეთის მიერ აჭარის ოკუპაციის გაადვილების მიზნით, სააკაშვილმა აჭარაში 35 ათასი თურქი ჩამოასახლა და მათ დიდ ნაწილს ორმაგი მოქალაქეობა მიანიჭა, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 12, ნაწილი ორის ძალით: „საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან“. მანვე, სომხეთის ისტორიული ოცნების ასახდენად, პარლამენტი დედაქალაქიდან შორს ქუთაისში განათავსა. სომხურმა ვებგვერდმა planerta-armenya.narod.ru-მ მიხეილ სააკაშვილი გამოჩენილ სომეხთა ათეულში შეიყვანა.

არა თუ საქართველოს, მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც თავისი ქვეყანა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად დაენგრია (სახელმწიფოები სხვა სახელმწიფოებს იპყრობდნენ და არა სხვა ქვეყნებს თავის ქვეყანას აპყრობინებდნენ).

2008 წლის მაისიდან 2012 წლის ოქტომბრამდე საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ბაქრაძეს და საპარლამენტო უმრავლესობას ბრალი უნდა წარედგინოს საკონსტიტუციო ცვლილებების გზით საქართველოს კონსტიტუციური წესწყობილების შემდგომ ხელყოფაში, საქართველოს კონსტიტუციი 48-ე მუხლის დარღვევით სააკაშვილისა და მისი მთავრობის მიერ სისხლის სამართლის, მათ შორის 2008 წლის 7-8 აგვისტოს, ჩადენილ უამრავ უმძიმეს დანაშაულთა განუცხადებლობასა და დაფარვაში, რამაც საქართველოში უმძიმესი შედეგი – ტირანული და ნეკროფილიის ელემენტებით გაჯერებული სადისტური რეჟიმის დამყარება და საქართველოს ტერიტორიის 20% დაკარგვა გამოიწვია.

ამრიგად, თუ საქართველოს პრეზიდენტად ბაქრაძეს ავირჩევთ, რუსეთი, თურქეთი და სომხეთი საქართველოს საბოლოოდ გაინაწილებს.

ქართველნო, გონს დროზე მოეგეთ!

დამიჯერეთ: დე იურედ ხმა მიეცით გიორგი მარგველაშვილს, ხოლო დე ფაქტოდ ბიძინა ივანიშვილს, ანუ საქართველოს, და არა რუსეთს, თურქეთსა და სომხეთს. უმადურები ნუ ვიქნებით. დავუფასოთ ღვაწლი ბატონ ბიძინას და ის სამაგიეროდ ისევ გვერდში დაგვიდგება. სააკაშვილმა და მისმა ორგანიზებულმა ბანდამ ხომ მილიარდები გაიტანა საქართველოდან, ხოლო ქველმოქმედმა ივანიშვილმა საქართველოში უხმოდ შემოიტანა. მთავრობიდან სამოქალაქო საზოგადოებაში გადასვლით ივანიშვილი პირიქით – კონსტიტუციურად, როგორც პრემიერობამდე, ისევ ხელგახსნილი იქნება.

სრული მიამიტობა ან ავანტიურაა პრეზიდენტ სააკაშვილის, მისი მთავრობისა და პარლამენტის მიერ 9 წლის განმავლობაში ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად დანგრეული საქართველოს აღდგენა ივანიშვილისთვის 9 თვეში მოგვეთხოვა.

მოგიწოდებთ: ხმა მხოლოდ გიორგი მარგველაშვილს მივცეთ.

დღეს სრულიად საქართველოს „სხვა გზა, სხვა ხსნა, არ გააჩნია“.

ყველანი არჩევნებზე!

პატივისცემით,

ბიძინა სავანელი,
სამართლის დოქტორი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **მიშას კვირის რეპერტუარი:**
ორშაბათი – კამპოტების ჩალაგება
სამშაბათი – აზერბაიჯანლების მოფერება
ოთხშაბათი – ახალ სახლში შპალერის გაკვრა
ხუთშაბათი – სომხების მოფერება
პარასკევი – კვერცხების შელებვა
შაბათი – მურმანის არია: „ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო“
კვირა – Home alone.

● **ამ ჩვენი ცოდვით დამწვარს რომ ვუსმენ, გეგონება, ცხოვრებაში ბიბლიოთეკის გახსნაზე მეტი ოცნება არ ჰქონიაო! და ეგ თუ ჰქონდა ნატვრად, მასე ეთქვა, რას გვერჩოდა?! ბიბლიოთეკას ალექსანდრიაზე უკეთესს ავუშენებდით, ოღონდ დატეულიყო იქ, სადაც იყო 1999-მდე!**

● **მადლობა შენ, განგებავ, და საარჩევნო კოდექსის რომელიღაცა მუხლო, იმისთვის, რომ ორიოდე დღის შემდეგ, ტელეეკრანებზე აღარ ვიხილავ პრეზიდენტობის კანდიდატების შარავანდედით მოსილ და გაცისკროვნებულ სიფათებს.**

● **მოვითხოვ ტელევიზორი შეუტანონ სააკაშვილს!! როგორ თუ რა მაყვირებს!!!**

ჯერ ადრეა?
რატომ, ხალხს, ძინავს?
აა, ჯერ არ დაუჭერიათ?

● **ასე თუ გაგრძელდა, ვატყობ, საბჭოთა კავშირის აღდგენას მოვითხოვ. საზღვრები მაინც გვქონდა და ქართულ კულტურას არავინ ებრძოდა. ხოდა, ვიღაცა ცეკას მდივანი, ვის ელაპარაკებოდა ხელის აწევით, რაში მენაღვლება? სრულიად გრუზინები, კი ვეჯექით თავზე, სრულიად სსრკ-ს.**

საქართველო, 17 აპრილი, საქინფორმი: თურქულმა გაზეთმა Milliyet-მა გამოაქვეყნა „ახალი თურქეთის“ რუკა, რომლის ავტორები შორს გასცდნენ ამ სახელმწიფოს არსებული ტერიტორიის ფარგლებს და რუკაში შეიტანეს, კერძოდ, კვიპროსი, სირიის ჩრდილოეთი რაიონები, ერაყისა და საბერძნეთის ჩრდილოეთი ნაწილი, აგრეთვე, აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაწილი (იხ. რუკა).

სტატიაში, რომლის ილუსტრაციაც გახლავთ რუკა, ლაპარაკია ახალი მძლავრი სახელმწიფოს შექმნაზე ყოფილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში. წყარო/ source (http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=14726%3A2013-04-17-08-32-25&catid=109%3Aarno&Itemid=538#ixzz2iUUv7ONx)

ამოკრიბა **გია გაბრიჭიძემ**

დავით თევზაძე დუმილს არღვევს

2003 წლის ნოემბერი. ზარი მოსკოვიდან – Власть меняется на Абхазию

სააკაშვილს ათი გვამი სჭირდებოდა!

„ბურჯანაძე და სააკაშვილი, ამ შეხვედრის ორი საავარაუდო მონაწილე, ცოცხალია. გამოვიდნენ და თქვან, რაზე ესაუბრნენ ივანოვს“, – აცხადებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი **დავით თევზაძე,** რომელმაც ათი წლის შემდეგ for.ge-სთან იმ სკანდალურ დეტალებზე ისაუბრა, რის სანაცვლოდ მოვიდა 2003 წელს ხელისუფლებაში რევოლუციური სამეული. როგორც თევზაძე ამბობს, რუსეთის გენერალური შტაბიდან განხორციელდა ზარი და ამ ზარის ავტორმა, მისი განმარტებით, აღნიშნა, იცოდეთ, აფხაზეთზე ძალაუფლება იცვლებაო – Власть меняется на Абхазию. ყოფილი მინისტრი ამბობს, რომ 2003 წელს განხორციელებული ამ ზარის და ივანოვთან შეხვედრის შედეგი იყო ის, რაც მოხდა 2008 წელს ცხინვალის რეგიონში და კოდორის ხეობაში.

– „ვარდების რევოლუციიდან“ ზუსტად 10 წელი სრულდება. თქვენ იყავით თავდაცვის მინისტრი და ხელმძღვანელობდით შეიარაღებულ ძალებს. რა მოხდა 2003 წელს, ეს იყო მშვიდობიანი რევოლუცია, თუ ეს იყო გადატრიალება?

– ათი წელი გავიდა და რაღაც-რაღაცები არ ამოდის ცნობიერებიდან, მით უმეტეს, როცა ჩართული ხარ პროცესებში. რევოლუცია იმ გაგებით, რასაც რევოლუციებს ვეძახით, რა თქმა უნდა, არ ყოფილა. უფრო, კარის გადატრიალებას ჰგავდა. რაც შეეხება იმ თემას, რომ მშვიდობიანი იყო... უბრალოდ, მშვიდობიანად ჩატარდა, თორემ არც ჩანაფიქრით და არც მონაცემებით, რომელიც მაშინ მე მქონდა, როგორც თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს, არანაირი მშვიდობიანი სახე ამას არ ჰქონოდა. არ ვიცი, ახლა როგორ გამოდის ეს თხრობა...

მაგრამ, იმ პერიოდში ძალიან ინტენსიურად ვმუშაობდით სხვადასხვა საელჩოებთან, ბუნებრივია, მათგანაც იყო დაინტერესება. განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა აშშ-ის საელჩოსთან, ელჩთან მაილსთან, რომელიც პირადად ურთიერთობდა ჩემთან. მას ძირითადად აწუხებდა სიტუაციის იმდაგვარი ცვლილება, რომ გამორიცხულიყო სისხლისღვრა. ახლა ძალიან საინტერესო მომენტი მახსენდება.

ჩვენი დაზვერვის თანამშრომლები სხვადასხვა საელჩოში და მათ შორის აშშ-ის საელჩოში (ძირითადად ეს იყო ატაშეს ოფისი), ურთიერთობდნენ შესაბამის ადამიანებთან. გარკვეული პერიოდულობით, ანგარიშის სახით ინფორმაცია ჩემთან მოდიოდა. დაზვერვის სამმართველოდან მივიღე ანგარიში, სადაც მოცემული იყო ელჩთან სააკაშვილის შეხვედრა. ერთი დეტალი იყო საინტერესო, სადაც **ელჩი და სააკაშვილი განიხილავდნენ არსებული სიტუაციის შესაძლო განვითარებას და ბოლოს სააკაშვილს უთქვამს ასეთი ფრაზა – „ყველაფერი, რომ ძალიან სწრაფად და კარგად დასრულდეს, სულ 10 გვამია საკმარისი“.** თავიდან, ეს არ მივიღე სერიოზულად, მაგრამ მერე თვითონ ელჩმა მოითხოვა ჩემთან შეხვედრა.

– რომ დავაკონკრეტოთ, ეს მოვლენები როდის ხდება...

– დახლოებით კვირა-კვირანახევრით ადრე. მენიშნა, რომ აშშ-ის ელჩი დაჟინებით მთხოვდა, რომ არც ერთ შემთხვევაში არ ავყოლოდით ცთუნებას და სამხედრო ძალა რაიმე ფორმით არ ჩაგვერთო პროცესებში, ვინაიდან იყო საშიშროება.

– პირადად გითხრათ ელჩმა ამ მოსალოდნელ საშიშროებაზე?

– პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალიან შეშფოთებული იყო.

– მან თქვენთან საუბრისას, დაადასტურა ათი გვამის შესახებ არსებული ინფორმაცია? ანუ იმ საუბრის დეტალები, რომელიც მასსა და სააკაშვილს შორის შედგა...

– მე ხომ არ ვეტყოდი, რომ „შენი და ჩემი თანამშრომელი ერთმანეთში საუბრობენ“... მე ვაგრძნობინე, რომ რაღაც ვიცოდი. მანაც მაგრძნობინა, რომ ძალიან სერიოზული შეიძლება ყოფილიყო ეს ამბავი. ეს ის პერიოდია, როცა რატომღაც, სამწუხაროდ, გაწყდა კომუნიკაცია ჩემსა და შევარდნაძეს შორის. რამდენიმეჯერ ვცადე და ვერ მოხერხდა შეხვედრა.

– რა იყო მიზეზი, რის გამოც თქვენი კომუნიკაცია ვერ შედგა?

– არ ვიცი. მე მგონია, რომ საერთოდ არ ახსენებდნენ, რომ შეხვედრა მინდოდა.

– მიზანმიმართულად უმალავდნენ?

– იცით რა... რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ რაღაცა კედელივით იყო აღმართული. მას არ ეძლეოდა თავისუფალი კომუნიკაციის საშუალება. ამიტომ ელჩთან შეხვედრის შემდეგ, ვცადე ჩემს თავზე ამეღო სიტუაციის კონტროლი და ვთხოვე გიორგი ბარამიძეს, რომ შემხვედროდა. ეხსომება მას, საერთო მეგობრის ოჯახში, ძველ თბილისში, ღამით შევხვდით, სადაც პირდაპირ ვუთხარი მას, რომ თუ ასეთი რამე უდევთ თავში, ამოიგდონ-მეთქი.

– დაგიდასტურათ ბარამიძემ ეს ინფორმაცია?

– რა თქმა უნდა, იუარა. მე მქონდა სხვა არგუმენტებიც. ზედმიწევნით ზუსტი ანგარიში მქონდა, მომიტინგეებს შორის ვის რა იარაღი ეჭირა.

– იყო იარაღი?

– როგორ არ იყო! იარაღი იყო, და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც. თუ ეს პროცესი მშვიდობიანად წავიდოდა, ამის ფორსირება უფრო ცუდი იქნებოდა. რამდენადაც შემდეგ მოვლენებმა აჩვენა, ამის გამო, თუ სხვა მოვლენების გამო, ეს დაპირისპირება იარაღის ფაზას აცდა. ძალიან ნერვიული სიტუაცია იყო. ძირითადად, რაც ჩვენ შეგვეძლო, იყო ის, რომ არ დაგვეშვა იარაღის გადინება საწყობებიდან და არ დაგვეშვა სამხედრო ნაწილების სპონტანური ჩართვა პროცესებში. ვთვლი, რომ მაშინ ამ ამოცანას თავი გავართვით.

– პროცესების მართვა აიღეთ საკუთარ თავზე და შეხვდით ბარამიძეს, მაგრამ ამის შემდეგ რევოლუციონერების მხრიდან ხომ არ ყოფილა თქვენთან შეხვედრის მცდელობა?

– ისევ ბარამიძემ სცადა შემხვედროდა. მაგრამ მე უკვე მქონდა პრეზიდენტთან შეხვედრის საშუალება და მან მთხოვა, რომ თავი შემეკავებინა, ანუ ისე მოქცეულიყავი, რომ სიტუაცია ლაგდებოდა. ამის რამდენიმე წინაპირობა არსებობდა – ამერიკელების წინადადება იყო, რომ პარლამენტის არჩევნების შედეგების გადახედვა უნდა მომხდარიყო, მაგრამ პრეზიდენტს თავისი ვადა უნდა დაესრულებინა, ანუ ის, რაც ჩვენ დღეს გვაქვს კოჰაბიტაციის სახით. ბევრი სხვადასხვა ტიპის მოლაპარაკება მიდოდა, ამ მოლაპარაკებებს მე შეგნებულად ვარიდებდი თავს, რომ არ აღმოვჩენილვიყავი რომელიმე მხარეს. ჩემი თანამდებობა არ იყო პოლიტიკური, ჩემი თანამდებობა იყო სამხედრო და ამას შეეძლო პროცესების ცუდი განვითარება გამოეწვია. დავკმაყოფილდი იმით, რომ მივიღე პირობა იმისა, რომ არანაირი იარაღი არ გამოჩნდებოდა.

– ვისგან მიიღეს ეს პირობა?

– იმ საღამოს ბარამიძემ მითხრა, მესმის რაზეა ლაპარაკიო. თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ გენერალურ შტაბში ჩვენ შევიმუშავეთ რამდენიმე გეგმა. ორი პარალელური მიტინგი მიდიოდა, აჭარიდან იყვნენ ჩამოსული აქციის მონაწილეები, ცენტრალური ხელისუფლების მხარდასაჭერად. არა მგონია, რომ ეს ჭკვიანური გეგმა იყო. ადვილი შესაძლებელი იყო ამ ორ ბანაკს შორის მომხდარიყო რაღაც... ამიტომ, ჩვენ შევიმუშავეთ რამდენიმე ვარიანტი. ჯერ დაშორიშორებისა და შემდეგ – განიარაღების. განსაზღვრული გვქონდა ადგილები, თუ სად უნდა გაგვეწია ხალხი და სად უნდა აგვეყარა შემდეგ იარაღი. სხვათა შორის, რევოლუციის შემდეგ თავდაცვის სამინისტროში მოსული იყო ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე ახლდა და გავაცანით ეს გეგმა. რეაქცია მომეწონა - წარმოგიდგენიათ, რას ვართ გადარჩენილებიო! პირდაპირ გეტყვით: იარაღი რომ გამოჩენილიყო და დაწყებულიყო სამოქალაქო დაპირისპირება, არავის ბრძანება არ დამჭირდებოდა, რომ წესრიგი დამემყარებინა.

რაც შეეხება დაკავშირების მცდელობებს... ძალიან საინტერესო გამოდგა თვითონ 23 ნოემბერი, განსაკუთრებით – დღის მეორე ნახევარი. ბადრი ბიწაძე მოვიდა ჩემთან, ახალი გადამდგარი იყო. პირისპირ დავჯექით, ვუყურებთ ერთმანეთს. მე უკვე ვხვდები, რა უნდა ეთქვა... ველოდები, რა ფორმით იტყვის. არ გეწყინოს, დავით, დამავალეს, რომ შენ რაღაც უნდა გითხრა, მაგრამ ვერ გკადრებო. მე ვუთხარი, ძალიან კარგი, რადგან თუ ის არის, რაც მე ვიფიქრე, კარგია, რომ არ მითხარი-მეთქი.

მაგრამ, რამდენიმე საათში მოხდა უფრო საინტერესო რამ. სამინისტროს არ ვტოვებ, სამხედრო ნაწილების მართვა რომ არ გამექცეს ხელიდან. მორიგე ოფიცერმა მომახსენა, რომ ჩემთან მოსულია ორი კაცი და მითხრა გვარები – გიგი წერეთელი და ასევე დამისახელა ჩემი უახლოესი მეგობრის გვარი. მორიგე ოფიცერს ვთხოვე, რომ ჩემი მეგობარი არ შემოეშვა და დაეტოვებინა შემოსასვლელში. გიგის ეკუთვნოდა შემოსვლა იმიტომ, რომ დეპუტატი იყო. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, რადგან ის, რაც გიგიმ მითხრა, ეს რომ ჩემს მეგობარსაც ეთქვა, მე მას დავკარგავდი.

– რა შემოთავაზება ჰქონდა გიგი წერეთელს?

– მისი შემოთავაზება იყო, რომ ხალხი მე მელოდება, რომ გავაკეთებ განცხადებას – არ ვექვემდებარები შევარდნაძეს, მერე ყველაფერი მთავრდება და ხვალიდან იქნები საქართველოს გმირიო. მე შევეცადე გიგისთვის ამეხსნა, რომ გმირობის სხვადასხვა გაგება არსებობს და რომ ჩემი მხრიდან ეს იქნებოდა ცუდი საქციელი. თეორიულ დისკუსიაში ვართ და ამ დროს ძალიან საინტერესო რამ მოხდა...

გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა გენერალი იმნაძე, რომელიც დამიკავშირდა შიდა ტელეფონით. ეს იყო საბჭოთა სისტემის დიდი სელექტორი, დავაჭირე თითი სელექტორს და მეუბენება, ბატონო მინისტრო, სასწრაფო მოხსენება მაქვსო, უცებ არ მივაქციე ყურადღება, რომ უცხო პირი მეჯდა კაბინეტში, ახლა არ მცალია-მეთქი. არა, ძალიან სასწრაფოა, მოსკოვიდან დამირეკესო.

გიგი წამოდგა, რომ გასულიყო. არა, გიგი, შენ აქიდან ვერ გახვალ-მეთქი. რატომო? იმიტომ, რომ მე არ ვიცი შენ აქედან რას გაიტან-მეთქი და ჯობს მოისმინო, მოსკოვიდან რაზე დარეკეს-მეთქი. არა, მაინც წავალო. მაშინ ვუთხარი, ვერსად ვერ წახვალ, სანამ არ მოისმენ-მეთქი. ეს არ მომიყოლია არსად, პირველად ახლა თქვენთან ვყვები. შემოვიდა იმნაძე და უცხო პირი რომ ნახა, იუხერხულა. მას ვუთხარი, ხმამაღლა თქვი, რა დარეკეს მოსკოვიდან-მეთქი. რომ არ მოგატყუოთ, რაც მოვისმინე, ამან ყველა ვარაუდი მეორე პლანზე გაწია.

– რა გითხრათ გენერალმა იმნაძემ? ვისი ზარის იყო მოსკოვიდან, კონკრეტულად რომელი უწყებიდან დარეკეს?

– ძალიან მოულოდნელი რამ იყო. როგორც თვითონ თქვა, გენერალური შტაბიდან დაუკავშირდნენ, ზუსტად არ მახსოვს მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი, თუ გენერალური შტაბის უფროსი. ჯერ სიტუაცია იკითხეს და მერე უთხრეს, რომ ყურადღება მიაქციეთ მინისტრ ივანოვის ვიზიტს, **შეიძლება უკვე თქვენთან იყოსო, იცოდეთო, რომ ძალაუფლება იცვლება აფხაზეთზეო** (Власть меняется на Абхазию). გიგის რეაქცია იყო ასეთი: წამოხტა, ეს პროვოკაცია არისო და გაიქცა. მე იმთავითვე მინდოდა სამხედრო საბჭოს შეკრება, მაგრამ მოხდა ისე, რომ შევარდნაძემ მთხოვა ავსულიყავი კრწანისში. ამიტომ დაბრუნებისთვის მოვითხოვე ყველა სარდალთან და სამხედრო საბჭოს წევრებთან შეხვედრა. კრწანისში განვითარდა ის ცნობილი მოვლენები. იმ საღამოს რეზიდენციაში ივანოვთან ერთად მოვიდნენ სააკაშვილი და ჟვანია. მანამდე იყო პატარა თათბირი.

– ჩააყენეთ პრეზიდენტი შევარდნაძე საქმის კურსში?

– არა. იქ აბსოლუტურად სხვა სიტუაცია დამხვდა. ერთ-ერთ ვარიანტად ეს განიხილებოდა: ხომ არ დადგა დრო, რომ სამხედრო ძალები გამოგვეყვანა. მე მოვითხოვე ამოცანის დაზუსტება, პირდაპირ ვკითხე შევარდნაძეს, რა რაოდენობის მსხვერპლი იქნებოდა მისთვის მისაღები. ცოტა გაღიზიანებულმა მკითხა, მსხვერპლის გარეშე არ შეიძლებაო? ავუხსენი ასეთი ოპერაციების სპეციფიკა, თუნდაც, სამხედრო ძალები ხალხთან რომ არ მისულიყვნენ, კანცელარიის შენობის განთავისუფლება რომ მოეთხოვა, რაც სავსებით ლეგიტიმური ამოცანა იყო, რომელიც უნდა შეგესრულებინა, უბრალოდ, შენობის გაწმენდის სპეციფიკა ისეთია, რომ ვილაც აუცილებლად იღუპება. ჯარისკაცმა სულ რომ არ ისროლოს, ხალხში პანიკა რომ იწყება - შეიძლება ვილაცა ფანჯრიდან გადახტეს, ერთმანეთი გადათელონ... **ეს გეგმა მიუღებელი აღმოჩნდა შევარდნაძისთვის. ჩემთვის ძალიან მოულოდნელი ფრაზა თქვა: „მე ხომ ვთქვი გუშინ, რომ უნდა გადავდგე. გადაწყვეტილია ეს საკითხი და მოვიდნენ“.** იქვე განისაზღვრა, რომ მოლაპარაკებაზე შევიდოდა თვითონ და ჯორბენაძე. მე დავბრუნდი სამინისტროში და მოვიწვიე სამხედრო საბჭო. დავიწყეთ იმ ზარის ანალიზი.

ორი თემა იყო: ამაზე რა რეაგირება უნდა გვქონდეს და მეორე – მაშინ რევოლუციურმა საბჭომ მოითხოვა ყველა მინისტრის გადადგომა და რა პოზიცია უნდა დაგვეკავებინა ჩვენ. კონსტიტუციაში იყო ერთი ასეთი მუხლი – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, შეუძლია კაბინეტი შეცვალოს გარდა ძალოვანებისა, და მას არ შეუძლია ძალოვანების გამოყენება. პირველ საკითხზე ძალიან სწრაფად შევთანხმდით. **სამხედრო საბჭო შეთანხმდა, რომ უნდა გაგვეგრძელებინა**

ფუნქციის შესრულება, სანამ პრეზიდენტი არ იქნებოდა არჩეული. მახსოვს, გენერალმა ამირან სალუქვაძემ ასეთი სიტყვები თქვა: „რაც არ უნდა მოხდეს, არ შეიძლება ჯარის „დაგდება“.

რაც შეეხება ზარს მოსკოვიდან, გენერალმა იმნაძემ სამხედრო საბჭოსთვის მოკლე მოხსენება გააკეთა. ორი ვარიანტი იყო: ან ეს სიმართლეა და ჩვენ რას ვაკეთებთ. მაშინ იკვეთება ასეთი რამ – პრეზიდენტი არ არსებობს, მოსულია ხალხი, რომელიც იძახის, რომ ხალხის სახელით აიღეს ძალაუფლება და ამ დროს რეალურად რაღაცის ვიღაცისთვის გადაცემა ხდება, **ანუ, თუ ეს სიმართლეა და შენ, თავდაცვის მინისტრს, ამაზე რეაქცია არ გაქვს, შენ ხდები ამის თანამონაწილე.**

– რამდენად სანდო იყო ეს ინფორმაცია? ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ეს ინფორმაცია თქვენამდე იმიტომ მოვიდა, რომ სამხედრო გადატრიალება მომხდარიყო?

– ამის გადამოწმების არანაირი შანსი არ გვქონდა. როცა ვმსჯელობდით, მაინც გამოვედით იქიდან, რომ რუსეთის გენშტაბიდან იყო დარეკილი, თუმცა რატომ უნდა დაერეკათ, თუ მართლა ასე იყო? ანუ, თუ მართლა ივანოვი ჩამოდიოდა იმისთვის, რომ აფხაზეთზე ცვლიდა რევოლუციონერების მხარდაჭერას, მაშინ რუსეთის გენერალური შტაბი რატომ იყო დაინტერესებული ამის ჩაშლაში? ლოგიკური კითხვაა, ამიტომ აზროვნების სასწორი გადაიხარა მეორე მხარეს - რომ, ეს არის შემოგდებული ინფორმაცია. ჯარზე გაიცა ბრძანება: არც ერთი სამხედრო მოსამსახურე სამხედრო ნაწილის გარეთ არ გამოჩნდეს. ძირითადი ამოცანა იყო იარაღის საწყობების დაცვა და ჯარის შენარჩუნება. ამასობაში ღამის 3 საათისთვის დარეკა პრეზიდენტის ე.წ. „ვეჩემ“. ამან ცოტა გამაკვირვა, შევარდნაძეს უკვე ნათქვამი ჰქონდა, სახლში წავედიო, და წესით, არ უნდა დაერეკა. **ავიღე ყურმილი და შემრჩა ქალბატონი ნინო, რომელმაც მითხრა, რომ „რევკომმა“, ანუ სამეულმა გადავწყვიტეთ, რომ ჯარი გამოიყვანოთ ქუჩაშიო. ვკითხე, რა მოტივით და რა ფუნქციით-მეთქი.**

– გითხრათ ბურჯანაძემ, რა მოტივით უნდა გამოგეყვანათ ჯარი?

– არა. მათ ჩათვალეს, რომ ხალხის აღტყინება ზომას გადადიოდა, ხალხის მართვა ჰქონდათ დაკარგული და შეეშინდათ. რატომღაც, ქალბატონმა ნინომ ჩათვალა, რომ ეს მოტივები ჩემთვისაც საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ჯარისთვის ბრძანება გამეცა. მე უარი ვუთხარი და პირდაპირ მივუთითე კონსტიტუციაზე, რომ ვერავინ ვერაფერს ვერ მიბრძანებს, სანამ არ იქნება არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც ჩავაბარებ ჯარსაც და ჩემს თანამდებობასაც. მე მგონი, დელიკატურად ვუთხარი და თან ისიც მივანიშნე, რომ ის, რისიც მათ ეშინიათ – უმართავი პროცესების – რეალურად არ მოხდება.

მკითხა, რატომ ხართ ასე დარწმუნებულიო და მე მას ავუხსენი სამხედრო ფსიქოლოგიის პატარა დეტალები. თუ გიფიქრიათ, სამ დღეს რატომ აძლევდნენ ქალაქების დასარბევად ჯარებს, როდესაც ისინი ქალაქებს იღებდნენ-მეთქი. ემოციისგან დაცლას სამი დღეს ჭირდება. ნინომ ჩათვალა, რომ ეს იყო პირველი დღე. მან მითხრა – კი, მაგრამ დღეს პირველი დღე არისო, რაზეც ვუპასუხე, რომ პირველი კი არა, მესამე დღე იყო. ძალიან გრძელი დღე გამოვიდა, სახლში არც მივსულვარ. ჩემს სამუშაო კაბინეტში ვიყავი და ყოველ ორ საათში ვიღებდი ინფორმაციას, რა ხდებოდა. გამომივიდა ის, რომ არც ჯარი დაიშალა და არც შიგნით, ჯარში არ დაიწყო დაპირისპირება. კი იყო რამდენიმე ოფიცერი, რომლებსაც წასცდა ხელი მოსალოდნელ კარიერულ ცვლილებებზე და თავი ამოყო იმ შტაბში, სადაც წესით არ უნდა ყოფილიყო.

– რუსეთის გენშტაბიდან განხორციელებულ ზარს რომ დავუბრუნდეთ, ფაქტია, რომ მაშინ ივანოვი მართლაც ჩამოვიდა საქართველოში და შეხვდა ამ სამეულს, თუმცა ამ შეხვედრის დეტალები დღემდე უცნობია. თქვენ იცით, რაზე იყო მათ შორის საუბარი?

– რაზე იყო საუბარი მათ შორის, ეს არ ვიცი. მაგრამ მე სულ ველოდი, რა ფორმით შეიძლება მომხდარიყო ის, რაც ამ ზარის ავტორმა თქვა. პირველი ნიშნები იმისა, რომ ეს შეიძლება სიმართლე ყოფილიყო, გამოჩნდა მაშინ, როდესაც დაიწყეს ხევსურეთში, სვანეთში და კოდორის ხეობაში ჩვენს მიერ შექმნილი ბატალიონების განიარაღება. განსაკუთრებით – კოდორის ხეობაში. მესტიის ბატალიონი არსებობდა იმისათვის, რომ კოდორი გზით უზრუნველეყო, ეს ორი, მესტიის და კოდორის ბატალიონები ერთმანეთზე იყვნენ მიბმული. თუ არ იქნებოდა ეს უზრუნველყოფა, ხეობა იზოლაციაში აღმოჩნდებოდა.

ის საერთაშორისო კონვენციები, რომლითაც ჩვენ მაშინ ვხელმძღვანელობდით, კონფლიქტის ზონაში რეგულარული შეიარაღებული ძალების შეყვანას გვიკრძალავდა, თუმცა, ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა სრული უფლება, რომ ყოფილიყო თავდაცვისათვის ორგანიზებული. ამათ კურატორობას არავინ გვიკრძალავდა. არსებობდა დაჯგუფება, რომელიც ჩვენ გადავახალისეთ, ჩამოვიყვანეთ, გავწრთვენით, დავუნიშნეთ ოფიცრები და გვარდიის სარდლობას დავუქვემდებარეთ. ეროვნული გვარდია ისეთი სტრუქტურაა, რომ ასეთ რაღაცებს იტანს. ეს გავაკეთეთ ხევსურეთში იმიტომ, რომ იქ საზღვარს უჭირდა. შემდეგ კი, განიარაღების პროცესი დაიწყო იმ მოტივით, რომ თურმე ხალხი უნდა მუშაობდეს ყანაში.

კოდორში რეგულარული სამხედრო ნაწილის გამოჩენა იყო პროვოკაცია. გაეროს ნებისმიერ დროს შეეძლო ეთქვა, რომ ჩვენ ვარღვევდით ხელშეკრულებას. გაეროს მანდატით აღჭურვილი იყო რუსეთის ჯარი, რომელსაც ხელ-ფეხი ეხსნებოდა, შეეძლო შემოსულიყო ხეობაში და განსხვავებით 2001 წლისაგან, ვერაფერს ეტყოდი – მისი ჩარევა ლეგიტიმური იქნებოდა. მაშინ გამოჩნდა იმის კონტურები, რომ შეიძლება იმ ზარის უკან რაღაც იდგა.

– ამას მოყვა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები. ცხინვალის რეგიონში დაახლოებით 100 ქართულ სოფელზე და, ასევე, კოდორის ხეობაზე საქართველომ დაკარგა კონტროლი. ეს ადასტურებს, რომ ზარის ავტორმა მაშინ სიმართლე თქვა?

– ლოგიკაში ჯდება. 10 წელი გადის, რევოლუციური სამეულიდან ორი ცოცხალია და კარგი იქნება, რომ მოგვიყვნენ, რა მისიით იყო ჩამოსული ივანოვი... 2008 წლის აგვისტოში ომი ცხინვალის მიმართულებით დაიწყო, მაგრამ კოდორის ხეობის დათმობა ავტომატურ რეჟიმში არ მომხდარა, კოდორი ერთმნიშვნელოვნად არის დათმობილი. მე შემიძლია ჩემი სანთებელა გაჩუქოთ, ჩემი ნივთია, მაგრამ, როცა ტერიტორიას გაძლევ, ამას სჭირდება ურთიერთობის სხვა განზობილება. მშვიდობიანად და დეკლარირებულად არც ერთ მთავრობას ეს არ გამოუვიდოდა. მაშინ როგორ უნდა მოხდეს ეს გადაცემა? ძალიან მარტივია – უნდა მოხდეს ომის ინსცენირება და მოწინააღმდეგემ უნდა დაიკავოს ის ტერიტორია. გამომდინარე იქიდან, რაც ამ ათმა წელიწადმა აჩვენა, სწორედ ეს სურათი იხატება.

– არის ეს ღალატი?

– მე არ ვიცი იურიდიულ ტერმინოლოგიაში როგორ არის ღალატი განსაზღვრული. მაგრამ **ადამიანურ ენაზე ეს არის ღალატი! ეს არის დიდი ღალატი!!!**

– ალბათ, უნდა ჩატარდეს გამოძიება – რა მოხდა 2003 წელს და რა მისიით ჩამოვიდა ივანოვი საქართველოში და იყო თუ არა ამის გაგრძელება 2008 წელი...

– თუკი დავუბრუნდებით 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, სერიოზული გამოძიება მართლაც ჩასატარებელია. ვიღაცამ უნდა ამოწიოს ივანოვის და იმ სამეულის სტენოგრამული ჩანაწერები. ასეთი რაღაცები თუ არ არსებობს, ეს უკვე ცალკე დანაშაულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩანაწერი რუსეთს ექნება.

– როგორ ფიქრობთ, რატომ ასაიდუმლოებენ ნინო ბურჯანაძე და მისეულ სააკაშვილი ივანოვთან შეხვედრის და მოლაპარაკების დეტალებს?

– ვინმემ ჰკითხა, ივანოვი რაზე გელაპარაკათო?! საზოგადოებამ ივანოვის ჩამოსვლა აღიქვა, როგორც მხარეთა მორიგების მცდელობა. ბურჯანაძე და სააკაშვილი – ორი სავარაუდო მონაწილე ამ შეხვედრისა, ცოცხალია, გამოვიდნენ და თქვან. მესამე არაა ცოცხალი და ის ვერაფერს გვეტყვის.

– ათი წლის შემდეგ რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამ სკანდალურ თემაზე გელაპარაკათ?

– ამის მოყოლა უფრო რთულია ჩემთვის. როგორ ფიქრობთ, 2003 წლიდან რომელ ეტაპზე უნდა მომეყოლა? შედეგი რა ექნებოდა? არის რაღაცები, რომელსაც შიგნით ინახავ, გრღნის და გღლის. ახლაც, თქვენ რომ მობრძანდით, შემეძლო ჩვენი საუბარი სულ სხვა მიმართულებით წამეყვანა, მაგრამ, ახლა ეს დეტალები რომ მოვყევი, გავთავისუფლდი. როდესაც თქვენი კოლეგები ომზე მეკითხებოდნენ, ყოველთვის თავს ვარიდებდი ამ თემაზე საუბარს.

– ამ რთულ და დაძაბულ პერიოდში, თუ არის ისეთი დეტალი, რომელიც კარგად გახსენდებათ?

– როდესაც გამიჭირდა კომუნიკაცია შევარდნაძესთან, როგორც გითხარით, რაღაცები ჩემს თავზე უნდა ამეღო. ყველაზე სუსტი წერტილი იყო სამხედრო ნაწილების მეთაურების ლოიალურობა. ვინ რა პოლიტიკური წნეხის ქვეშ იყო, ეს სურათი არ გვქონდა. ეს ის სიტუაციაა, როდესაც მეთაური მეტს წყვეტს ადგილზე, ვიდრე მინისტრი კაბინეტში.

გადავწყვიტე, შევხვედროდი ბატალიონებისა და ბრიგადების მეთაურებს. გენშტაბს დავავალე, რომ მეთაურების შეკრება გაგვეკეთებინა და შეხვედრის ადგილად დავნიშნეთ არმაზის ციხე. იქ ყველა თავისით უნდა მოსულიყო. ნაწილმა ჩათვალა, რომ მათ ფიზიკურ შესაძლებლობას ვამოწმებდით. როცა შევიკრიბეთ და დავალების მოლოდინში იყვნენ, პირდაპირ ვუთხარი, არანაირი დავალება არ იქნება-მეთქი. ჩემი წინადადება იყო, დაგვეკლა საკლავი და გაგვემართა მსჯელობა. ერთ რამეზე ყველა შევთანხმდით – რომ სამოქალაქო ომს არ დავუშვებდით.

როცა გავიარეთ, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო ომი, გამოირკვა, რომ ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ნაწილები ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ. სხვა ვარიანტი არ არსებობდა. რამდენიმე მცდელობა იყო, მაგრამ არმია ისე იყო აწყობილი, რომ ამ მცდელობებს იქვე აჩერებდა. ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედით, თუ რამეს გავაკეთებთ, ცუდს თუ კარგს, გავაკეთებთ ერთად, ანუ ჩვენს შორის არ გაჩნდება დაპირისპირება. შეხვედრის შემდეგ ერთი რამ ზუსტად ვიცოდი – რომ მეთაურები მენდობოდნენ მე და მე ვენდობოდი მათ. ამის შემდეგ შედარებით თამამად ვიყავი.

თამთა ძარჩავა.

P. S. ჩვენ შევეცდებით, ამ საკითხზე უახლოეს დღეებში შემოგთავაზოთ ნინო ბურჯანაძის და გიგი წერეთლის განმარტებები. ასევე, დავუკავშირდებით გენერალ ვლადიმერ იმნაძესაც.

თ. ძ.

◎ ალიან-ჩალიანი

ვახტანგ მაისაია წამების ფაქტების დროულ გამოძიებას მოითხოვს

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ვახტანგ მაისაია მის მიმართ საპატიმროში განხორციელებული წამების ფაქტების დროულ გამოძიებას მოითხოვს. ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციით მაისაიამ მთავარ პროკურატურაში განცხადება უკვე შეიტანა.

ამასთან დაკავშირებით, გუშინ ვახტანგ მაისაიამ და ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ცქიტიშვილი აცხადებს, საქართველოში პრობლემად რჩება წამების ფაქტების დროული და ეფექტური გამოძიება.

– მთავარი პროკურატურა წამების მსხვერპლ პატიმართა და ყოფილი პატიმრების საჩივრებს ან საერთოდ არ იხილავს, ან აჭიანურებს ამ განცხადებებში ასახული ფაქტების დადგენას და დამნაშავეთა გამოვლენას. მოდულის შენობაში წინასწარი დაკავების ეტაპზე და შემდეგ, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მაისაიას მიმართ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ხორციელდებოდა წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ მაისაიას წამების ფაქტების გამოძიება და დამნაშავეთა გამოვლენა შექმნის პრეცედენტს სხვა ყოფილი პატიმრებისთვის, რომელთა წამების ფაქტებიც ასევე არ არის გამოძიებული, –განაცხადა ცქიტიშვილმა.

ვახტანგ მაისაია ჯაშუშობის ბრალდებით 2009 წლის 5 მაისიდან 2013 წლის 13 იანვრამდე იყო დაკავებული.

რა დაუჯდა სახელმწიფოს თავდაცვითი ნაგებობები?

საქართველოს პარლამენტი წინა ხელისუფლების მიერ თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და თხრილების მშენებლობაზე დახარჯული თანხების მიზნობრიობას შეისწავლის. ამის შესახებ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა.

მისივე განმარტებით, პარლამენტი აღნიშნულ საკითხზე „ნდობის ჯგუფის“ ფარგლებში იმუშავებს.

– მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსები - რა დაუჯდა სახელმწიფოს თხრილების გაკეთება. მე მქონდა საუბარი შესაბამის უწყებებთან და ეს საკითხი ცალკე შესწავლას ითხოვს. პირველივე შესაძლებლობის ფარგლებში გამოვითხოვ დოკუმენტებს და გავაანალიზებთ, რამდენად რაციონალურად მოხდა თანხების გახარჯვა, – განაცხადა სესიაშვილმა.

ამასთან, დეპუტატის შეფასებით, იმ სახელმწიფომ, რომელსაც შეზღუდული რესურსები და მაღალი საფრთხეები აქვს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის უზრუნველსაყოფად სწორად გამოიყენოს არსებული ფინანსური რესურსები.

– ამიტომ, როცა საუბარია თბილისის გამაგრებაზე, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ თბილისი არაა მხოლოდ საქართველო. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლა - მისი მიზნობრიობის, ეფექტურობის და თანხების ხარჯვის რაციონალობის დადგენა. ყველაფერს აქვს თავისი ფასი და თუ ჩვენ ასობით მილიონი დავხარჯეთ ისეთ საკითხებზე, რომლის ეფექტიანობა ძალიან დაბალია, ეს დამატებით კითხვებს აჩენს, – განმარტა დეპუტატმა.

კომისიის ზოგიერთ წევრს ამნეზია დაემართა

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრები 2008 წლის 22 მაისს გამართულ სხდომას ვერ იხსენებენ. ამ სხდომასთან დაკავშირებით კითხვები კომისის წევრებს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა თინათინ ხიდაშელმა დაუსვა.

როგორც ითქვა, 2008 წლის 22 მაისის სხდომაზე მარეგულირებელმა კომისიამ პრიორიტეტების კვლევის მოტივაციით ნ წლით სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემა აკრძალა, რითაც პრაქტიკულად, ტელევიზიების განვითარება გააჩერა.

ხიდაშელის თქმით, აღნიშნული სხდომა მოწვეული იყო საგანგებოდ, რათა 2008 წლის 23 მაისს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ისედაც იკრიბებოდა. მან ისიც აღნიშნა, რომ 2008 წლის 22 მაისი ჩვეულებრივი დღე არ იყო, რადგან წინა დღეს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მარეგულირებელი კომისიის 2008 წლის 22 მაისის სხდომისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმირებული არ იყო კომისიის ყველა წევრი, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც შეიძლება დასწრებოდნენ მას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხიდაშელმა კომუნიკაციების კომისიის წევრებისაგან განმარტებების მიღება მოითხოვა და მათ შესაბამისი შეკითხვებით მიმართა, თუმცა, კონკრეტული პასუხები ვერ მიიღო. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ გასულია ნ წელი და ეს დეტალები არ ახსოვთ.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველი პატიმრები ევროპული გზით შეიძლება გამოვიდნენ

ევროკავშირმა წამოაყენა საქართველოს თავის რიგებში ინტეგრაციის პირობები. თბილისში ვიზიტით ყოფნის დროს შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კარლ ბილდტმა და რადოსლავ სიკორსკიმ აგრძნობინეს, რომ საქართველო, უეჭველია, მოახდენს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირებას ვილნიუსის სამიტზე ნოემბრის ბოლოს, მაგრამ დოკუმენტზე ხელმოწერა დიდადაა დამოკიდებული სასამართლო პროცესების შეწყვეტაზე მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლების საქმესთან დაკავშირებით. ჩვენი მონაცემებით, მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ განიხილავენ საკითხს მათი შეწყალების ან სასჯელის ზომის შეცვლის შესახებ 27 ოქტომბერს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ.

პოლიტპატიმრების თემა ცენტრალური იყო საქართველოში შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელების ვიზიტის დროს. მათი ჩამოსვლის წინა დღით ევროპარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა რეზოლუციის პროექტი საქართველოს ხელისუფლებისადმი მოთხოვნით, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს შინაგან საქმეთა ექსმინისტრი ივანე მერაბიშვილი, რომელიც, ევროდეპუტატების აზრით, „იდევნება პოლიტიკური მიზეზებით“, თუმცა ფორმალურად მას ბრალს სდებენ თანამდებობრივ დანაშაულობებში.

სხვათა შორის, აეროპორტიდან გზაზე თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში, სადაც მათ საქართველოს პრეზიდენტი ელოდებოდა, კარლ ბილდტი და რადოსლავ სიკორსკი თვალნათლივ შეიძლება დარწმუნებულიყვნენ, რომ ქვეყანაში ბევრი ადამიანია, რომელთა აზრითაც მიხეილ სააკაშვილი „ცოდავდა“ ამჟამინდელ ხელისუფლებზე გაცილებით უფრო მეტად. ათობით პოლიტპატიმარმა, რომლებიც გაათავისუფლეს ამნისტიით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მოაწყო ხმაურიანი დემონსტრაცია პირდაპირ რესტორნის ფანჯრებთან, მეგაფონით ახმიანებდნენ ლოზუნგებს „სააკაშვილის ნაციონალური რეჟიმის დასასრულის“ შესახებ.

მაღალი რანგის ევროპულმა დიპლომატმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ბრიუსელში შესანიშნავად იციან ადამიანის უფლებათა დარღვევის მასშტაბების შესახებ მიხეილ სააკაშვილის მართვისა და ახალი მთავრობის დროს. **„პრობლემები არის ახლაც, მაგრამ ადრე პოლიტპატიმრები გაცილებით მეტი იყვნენ“,** — თქვა მან.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის დროს სტუმრებმა გამოთქვეს შეშფოთება ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებით. „მათ უნდათ არ გავაგრძელოთ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ყოფილ ჩინოვნიკებთან დაკავშირებით, — განაცხადა ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა და დაუმატა: — ადგილობრივი რეალიების ცუდი ცოდნის გამო ისინი ცდილობდნენ ჩემს დარწმუნებას, რომ შევწყვიტოთ დაპატიმრებანი“.

პასუხად შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააფრთხილა, რომ ევროპა **„ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში მოვლენათა განვითარებას, რათა მან არ გაიმეოროს უკრაინის შეცდომები“. „ჩვენ დიდი ხანია დავამთავრეთ მოლაპარაკება უკრაინასთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით,** — განმარტა მან. — **შემდეგ იქ დაიპატიმრეს ქალბატონი ტიმოშენკო, და პროცესი გაიყინა ერთ ადგილზე, ხოლო ვილნიუსში მოეწერება თუ არა ხელი შეთანხმებას, გაურკვეველია“. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვებით კი, „შურისძიებასა და ანგარიშსწორებას ევროპულ საზოგადოებაში ადგილი არ აქვს“, ხოლო ხელისუფლების უმტკივნეულო გადაცემა და შურისძიების არარსებობა გამარჯვებულთა მხრიდან — „ეს არის ტესტი ქართული დემოკრატიის ხარისხზე“.**

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, თუ ვანო მერაბიშვილის საქმეში არ იქნება ძალიან აშკარა დარღვევები, ამან არ უნდა შეუშალოს ხელი დოკუმენტის პარაფირებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის. **„რუსეთმა თავისი მოქმედებებით უკრაინასთან, საქართველოსთან და მოლდოვასთან დაკავშირებით იმდენად მაღლა ასწია ფსონი, რომ ამან ევროპისთვის პრინციპული ხასიათი შეიძინა“,** — განმარტა ჩვენთან საუბარში საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

ჩვენი მონაცემებით, ვანო მერაბიშვილმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ და პრეზიდენტ სააკაშვილის სხვა თანამებრძოლებმა ძნელად რომ იქონიონ გათავისუფლების იმედი პრეზიდენტის არჩევნებამდე 27 ოქტომბერს, ვინაიდან ეს აღაშფოთებს ამომრჩეველთა რადიკალურად განწყობილ ნაწილს. მაგრამ მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ განიხილება საკითხი მათი შეწყალების ან განსაზღვრული ზომების შეცვლის შესახებ არჩევნების შემდეგ, გაუსვლელობის ხელმოწერით, რათა არ შეუშალონ ხელი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას გაზაფხულზე.

Коммерсант

საზღვრების განმტკიცება რუსულად: საქართველოში აგებენ ღობურებს, აცხადებენ მეთვალყურეები

თინა ბიძინაშვილი თავის ქმართან ერთად გარდაქმნის დროიდან ეზოში კრეფდნენ ვაშლს, მსხალს, ატამს. ეს ბაღი მიიღეს ადგილობრივი კოლმეურნეობისგან ჯილდოდ თავდადებული შრომისთვის. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ დილით მათ აღმოაჩინეს, რომ შეიარაღებულ რუს მესაზღვრეებს ბაღის ერთ მხარეს ამოჰყავთ ღობურები მავთულხლართებით.

რუსებმა აუხსნეს, რომ მისი სახლი სოფელ გუგუთიანთკარში იმყოფება, ბაღი კი სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე — პატარა პროვინციისა, რომელსაც მსოფლიო გაერთიანება საქართველოს ნაწილად მიიჩნევს, რუსეთმა კი 2008 წლის შემდეგ იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

ეს მავთულები რუს მესაზღვრეებს გაჰყავთ „საზღვრების განმტკიცების“ ფარგლებში. მეთვალყურეთა სიტყვებით, ევროკავშირიდან, მათ უკვე გაიყვანეს მავთულხლართები 40 კილომეტრზე, აგრეთვე ბოძებზე დააყენეს თვალყურის დევნების თანამედროვე კამერები. ღობურები გადის საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ საზღვარზე, რომელიც არასოდეს მოქმედებდა პრაქტიკულად, და გადიოდა სოფლებზე, ზოგჯერ კი პირდაპირ კერძო სახლებზეც.

ამ სამუშაოებმა მოულოდნელად უზარმაზარი ყურადღება მიიპყრო, ვინაიდან კვირას საქართველოში პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ მავთულხლართებს აყენებენ უკვე რამდენიმე თვეა, მაგრამ არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით უფრო მნიშვნელოვანი გახდა სიმკაცრე.

ქართველი პოლიტიკოსების სიტყვებით, საზღვრის განმტკიცება — ეს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მოსკოვის პროვოკაციული პოლიტიკისა, რასაც იგი ახორციელებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის წინათ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა მილიარდერმა-ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც დაგვპირდა ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის გაუმჯობესებას.

წელს რუსეთმა მოხსნა 2006 წელს შემოღებული სავაჭრო ემბარგო ქართული ღვინისა და მინერალური წყლების მიწოდების თაობაზე, და ამ საქონელმა დაიწყო დაბრუნება რუსეთის ბაზარზე. ქართული მხარის ინფორმაციით, ზაფხულიდან რუსეთში გაიგზავნა 10 მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო. როგორც ჩანს, ხელი მოეწერება კიდევ ერთ შეთანხმებას, რომლის წყალობითაც რუსეთში დაბრუნდება ციტრუსები. ეს კარგ სტიმულს მისცემს საქართველოს აგრარულ ეკონომიკას.

საქართველო აღშფოთებულია მავთულის პროვოკაციებით სამხრეთ ოსეთში

მაბრძამ შემრიგებლური განცხადებები თბილისიდან და სავაჭრო ურთიერთობათა თანდათანობითი აღდგენა იძენს მჭმუნვარე სახეს საზღვრისპირა მავთულხლართების მშენებლობის და

რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების გამო, მიიწვიონ ჩირაღდნის გადამტანად სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე სამხედრო მფრინავი, რომელიც ბომბავდა საქართველოს 2008 წელს. საქართველოს საზოგადოებაში გაისმის მოთხოვნა, გამოუცხადონ ბოიკოტი ოლიმპიადას, რომელიც სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული აფხაზეთის საზღვრიდან, საქართველოს კიდევ ერთი პროვინციიდან, რომელიც გამოვიდა მისი შემადგენლობიდან და, რომელიც რუსეთმა აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

„გადაწყვეტილება ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ ჩვენთვის იყო ძალიან მძიმე, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს იქნება სწორი, — გვითხრა რუსეთთან საქართველოს ურთიერთობათა აღდგენის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ. **— მაგრამ ეს პროვოკაციული მოქმედებები ართულებენ სიტუაციას. თუ ყველაფერი შემდგომაც ამ გზით წავა, ჩვენ შეიძლება გადავიფიქროთ“.**

საზღვრის ორივე მხარეს დგანან ჯარები, თუმცა, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ამას კრძალავს. ასეთი სიტუაცია ქმნის საფრთხეს, რომ მცირეოდენი გაუგებრობა ან შეტაკება გადაიზარდოს რაღაც უფრო დიდში. სამხრეთი ოსეთის მხარეს რუსეთმა 19 სასაზღვრო საგუშაგო ააგო.

საქართველომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისთვის სიურპრიზი მოამზადა

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც დაიდო საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, შეიქმნა ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია. მისი წევრები ინსპექტირებას უწევენ საზღვრის ხაზს, რომლის გასწვრივაც რუსები ღობურებს აგენებენ. მაგრამ რეალური უფლებამოსილებანი მეთვალყურეებს არ გააჩნიათ. ისინი არ არიან შეიარაღებული. და მათ არ აძლევენ ნებას, გადავიდნენ სამხრეთი ოსეთის მხარეზე. ისინი უბრალოდ აწარმოებენ ყოველდღიურ შემოვლას ტერიტორიისა თავიანთ დაჯავშნულ მანქანებზე, მიდიან ამოთხრილ გზებზე და იტყობინებიან არსებული სიტუაციის, ახალი ნაგებობების კოორდინატების შესახებ. ზოგიერთ ადგილას მავთულები კვეთენ სოფლებს მეზობელი დასახლებებისგან, რომელთა მცხოვრებლებიც მიდიოდნენ ერთმანეთთან სტუმრად უხსოვარი დროიდან. სხვა ადგილებში მავთულხლართებმა მოწყვიტეს ადამიანები მახლობელთა საფლავებს.

„ჩვენ გვითხრეს, რომ თუ კვლავაც მოვუვლით ჩვენს ბაღს, წაგვიყვანენ ცხინვალში და ციხეში ჩაგვსვამენ, — ამბობს თინა ბიძინაშვილი მესაზღვრეების შესახებ, რომლებმაც დააყენეს მავთულხლართების ღობე და რომელიც თიშავს მის სახლს ბაღისგან. **— ისინი ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთში ჩვენ შეგვიძლია ჩავიდეთ მხოლოდ კანონიერი საკონტროლო-გამტარი პუნქტის გავლით“.**

უახლოესი საკონტროლო-გამტარი პუნქტი რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული სოფლიდან და იქ გავლა ძალიან ძნელია. თავიანთ ბაღში რომ მოხვდეს, ბიძინაშვილს მოუწევს, ყოველდღიურად იყოს გზაში ექვსი საათის განმავლობაში. მის სახლში ცხოვრება არ შეიძლება, ვინაიდან იგი დაბომბეს ომის დროს, ამიტომ მისი ოჯახი — იგი კი ექვსი კაცისგან შედგება — შეყუჟულია ადგილობრივი სკოლის კლასში, რომელიც თავშესაფრადაა გადაქცეული მათთვის, ვინც თავიანთი სახლები დაკარგა. ბაღი იყო მათი უკანასკნელი იმედი, ახლა კი იგიც აღარაა.

„ჩვენ მთელი ჩვენი ცხოვრება ერთგულად ვშრომობდით, — ამბობს თინა ბიძინაშვილი, — **ახლა კი ვცხოვრობთ — როგორც ღორები“.**

Guardian

დედამიწის ზურგზე

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ინი საიდუმლოდ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გახდა

ჩრდილოეთი კორეის ახალგაზრდა ბელადმა სამეცნიერო ხარისხი მიიღო მალაიზიის უნივერსიტეტში ოქტომბრის დასაწყისში, გამოარკვიეს ჟურნალისტებმა. სხვათა შორის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების პირადი ცხოვრება ტრადიციულად საიდუმლოებითაა მოცული, და ნებისმიერი ახალი ამბავი მათ შესახებ მსოფლიოს საზოგადოებრიობამდე დიდი დაგვიანებით მიდის.

* * *

ტაილანდში მომლოცველებით სავსე ავტობუსი ხეობაში გადავარდა: დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი

პოლიციის მონაცემებით, მთის მკვეთრ მოსახვევზე სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა დაკარგა მართვა, რის შედეგადაც ავტობუსი შეეჯახა ღობურას და გადავარდა გზიდან. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მსხვერპლთა უმრავლესობა — ქალებია, რომლებიც ჩიანგრაის პროვინციაში ტაძარში იყვნენ. მძღოლი გადარჩა, მას წაუყენეს ბრალდება.

* * *

ირლანდიის პოლიციამ ბოშებს თეთრთმიანი გოგონა დაუბრუნა: დნმ-ს ტესტმა დაადასტურა მათი ნათესავობა

შვიდი წლის ბავშვი წამოიყვანეს ოჯახიდან მას შემდეგ, რაც შემოვიდა სიგნალი, რომ ბოშათა ბანაკში ცხოვრობს თეთრთმიანი გოგონა, რომელიც არ ჰგავს თავის ძმებსა და დებს. წესრიგის დამცველებმა ეჭვი აიღეს, რომ გოგონა მოსტაცეს ნამდვილ მშობლებს. ოჯახის მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტებმა ვერ დაარწმუნეს ხელისუფლების წარმომადგენლები.

* * *

კალიფორნიაში შერიფის თანაშემწეებმა სათამაშო ავტომატის გამო 13 წლის ბიჭი დახვრიტეს

წესრიგის დამცველებმა ბავშვის ხელში იარაღი ნამდვილად მიიჩნიეს. მათი სიტყვებით, სანამ ცეცხლს გახსნიდნენ, მათ რამდენჯერმე სთხოვეს ბიჭუნას შეჩერდეს. მოკლულის ჯიბეში ნახეს ასევე პლასტმასის პისტოლეტი. ნიუ-იორკის შტატში მოსწავლემ სკოლაში გადახერხა წიწაკის გაზი: ჰოსპიტალიზებულია 20 ბავშვი.

◎ ერიჰა!



კაფე-ბარი მხოლოდ ქართველი ქალებისთვის

ალმაშენებლის გამზირზე მდებარე კაფე-ბარში ერაყელები ქართველ კაცებს არ უშვებენ. შესვლის უფლება მხოლოდ ქართველ ქალებს აქვთ. ასეთი უცნაური აკრძალვის მიზეზს კაფე-ბარის მეპატრონეები არ განმარტავენ.

როგორც გავარკვიეთ, ახლადგახსნილი კაფე-ბარი, რომელსაც ჯერ სახელწოდებაც არ აქვს, მხოლოდ ღამის საათებში მუშაობს. მისი დაცვის წევრები ქართველი ბრგე ბიჭები არიან, რომლებიც სამსახურის დაკარგვის შიშით ქართველ კაცებს უარით ისტუმრებენ.

ასეთი აკრძალვით შეურაცხყოფილი დარჩა ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია. ჩვენთან საუბარში იგი იხსენებს, რომ პრემიერის შემდეგ ღამის საათებში დავით ალმაშენებლის გამზირზე ორ მსახიობთან ერთად ჩაიარა. ამ დროს შენიშნეს, რომ, სავარაუდოდ, ალმაშენებლის 136 ნომერში, სადაც ადრე ძველი მინიატიურების თეატრი, მოგვიანებით კი კაზინო „ასტორია“, ქართველი ბიჭი კარებთან იდგა, შუქი ბრდღვიალებდა და მათ შიგნით შესვლა გადაწყვიტეს.

თუმცა ქართველმა ახალგაზრდამ სასტიკად აუკრძალა, თქვენი შემოსვლა არ შეიძლებაო. როცა იკითხეს, რატომ, კლუბური სისტემა ხომ არ არისო, უპასუხეს, უბრალოდ, აკრძალული გვაქვს, ქართველი კაცების შეშვებაო, თორემ სამსახურს დავკარგავთ, ქართველი ქალების შემოსვლა კი შეიძლებაო.

— ვუთხარი, ბიჭო, ვინ ხარ, საერთოდ, სადაური ხარ-მეთქი. მე აქაური ვარ, მაგრამ სამსახურიდან გაგვაგდებენ ქართველი კაცების შეშვების გამოო. პირდაპირ ვკითხე, რა, დაკეტილი პონტია? — არ არის ეს თქვენი საქმეო. ამის შემდეგ გამოვიდა კიდევ 5-6 ქართველი დაცვის ბიჭი და მათაც გაგვიმეორეს, შესვლა არ შეიძლებაო. ამ კაფეს ღამე აღებენ, ათზე თუ თერთმეტზე და მერე კეტავენ. არ ვიცი, შიგნით რა ხდება. დავით ალმაშენებლის პროსპექტს მალე, ალბათ, ათა-თურქის სახელს დაარქმევენ, — აღნიშნა ზურაბ ვადაჭკორიამ.

იგი აცხადებს, რომ 48 ქვეყანა მოუვლია, ირანშიც ყოფილა, არაბეთშიც, მაგრამ მათი ტრადიციებისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ისიც ეეჭვება, ქართველმა კაცმა არაბეთში, ირანში ან თურქეთში რომ გახსნას კაფე და იქაურებს შესვლა აუკრძალოს, იქ დატოვებენ?

ჩვენ ერთ-ერთი პლეხანოველი მამაკაციც გვესაუბრა, რომელიც ალშფოთებას არ მალავდა. ისტორია აქაც იგივეა: ის და მისი მეგობრები ამ ბარში დაცვის წევრებმა არ შეუშვეს.

როგორც გავარკვიეთ, აღნიშნულ ფართს კომპოზიტორთა კავშირი აქირავებს უცხოელებზე. ამიტომ კომპოზიტორ კახა ცაბაძეს დავუკავშირდით. მან დაადასტურა, რომ ზემოთა სართულზე ფართს ფლობენ თურქები, ხოლო — პირველ სართულზე შპს „ბაღდადის“ წარმომადგენლები, რომლის სრული დასახელებაც ზეპირად არ ახსოვდა, დოკუმენტები კი სამსახურში ჰქონდა.

კახა ცაბაძე აცხადებს, რომ უცხოელები მათთან მივიდნენ და მათაც, მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს, სამწლიანი ხელშეკრულება დაუდეს. ამდენად, მათი პრეროგატივა აღარ არის, თუ ვის შეუშვებენ ახალი მეპატრონეები აღნიშნულ ფართში.

„ხელშეკრულებაში წერია, რომ მათ ეს ფართი კაფე-ბარის მოსაწყობად სჭირდებათ. რაღაც პერიოდი, სარემონტო სამუშაოებს ასრულებდნენ და ისიც არ ვიცი, თუ დაიწყეს ფუნქციონირება. მე არ ვიცი, კონკრეტულად რა მოხდა, მაგრამ ქართველ კაცებს ცოტა სხვა რამეზე უნდა გავუბრაზდეთ. მოიცათ, ახლა, ქართველი ქალები რომ შედიან ამ კაფეში, ეს არ არის ამ ქალებისთვის შეურაცხმყოფელი? რატომ შედიან მარტონი? როცა შევლენ ეს ქალები იმ კაფეში, სწორედ მათ უნდა დაუხვდნენ წინ. კაცი არ შეუშვან კაფე-ბარში და მხოლოდ ქალი შეუშვან, ასეთი რამ ხელშეკრულებაში ნამდვილად არ ჩაგვიდია. პირველად არ ხდება, რომ ფართს უცხოელები ქირაობენ“, — გვითხრა კახა ცაბაძემ.

ჩვენ დავუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს — ნინო ლომჯარიას, თუმცა მან დეტალების გარკვევამდე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. უბრალოდ, აღნიშნა, რომ, თუ აღნიშნული კაფე-ბარი კერძო მფლობელობაშია, მათ შეუძლიათ, შეუშვან ის ადამიანები, ვინც მათ სურთ. აქ საუბარია კლუბური შესვედრებისთვის განკუთვნილ დაწესებულებებზე. ხოლო, თუ ობიექტი საჯარო დაწესებულებათა რიცხვს განეკუთვნება, მაშინ გენდერული დისკრიმინაცია დაუშვებელია.

მანანა ნოზაძე

◎ ტკივილი

პალიატივი

პალიატივი — სიტყვა, რომლის მნიშვნელობა, ალბათ, ადამიანთა მოდგმის უდიდესი ნაწილისათვის უცნობია. იგი ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს წამალს, რომელიც დროებით ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას, მაგრამ არ კურნავს. იმის სურვილი, რომ ადამიანებს დაეხმაროს, ალბათ ადამის მოდგმის ნებისმიერ ინდივიდშია, თუმცა — სხვადასხვა დოზით. ამპარტავნება გვანადგურებს, გვინადგურებს იმ ღვთიურ ნაწილს, რომლითაც განგებამ დაგვასაჩუქრა და ამიტომ ეს ცოდვა უმძიმესია ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანისათვის.

ამ სტატიის დაწერა იმიტომ არ გადამიწყვეტია, რომ ჩემი, როგორც ჟურნალისტის, თუ აპოკრიპტიკოსის შესაძლებლობები დამემტკიცებინა საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც კითხვა ჯერჯერობით არ ეზარება. კითხვა ხომ გაცილებით რთულია, ვიდრე ვან გოგით ტკბობა, ან ვივალდის მოსმენა, თუმცა ტკივილი ყველგანაა და ხელოვნებაც ერთგვარი პალიატივია. ხომ ხედავთ ამპარტავნება არც მე მაკლია და ჩემი „შედევრით“ მსოფლიო გენიოსების გვერდით დგომასაც ვცდილობ.

რატომ ვუკავშირებ პალიატივს ამპარტავნებას? რეალობიდან გამომდინარე და არა უსაზღვრო ფანტაზიის გამო. გულგრილობის საწყისს ვხედავ ამ მომაკვდინებელ ცოდვაში. ახლობელი ადამიანი მყავს უკურნებელი სენით დაავადებული. მედიცინის ვარაუდით მან მალე უნდა დატოვოს სხეული და მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, მედიცინა ზუსტი მეცნიერებაა, ვთვლი, რომ ყოველივე ღვთის ნებაა. რით შეიძლია მე მას დავეხმარო? ტყუილით - „კარგი რა, ცოცხალ ადამიანს რაღაც ასტკივდება, აბა როგორ იქნება ისე...“ ოჯახი არ ეუბნება სიმართლეს და მე რა უფლება მაქვს. არადა ჯობდა მასთან განვლილ ცხოვრებაზე, არასწორად გადადგმულ ნაბიჯებზე მესაუბრა. მღვდელთან ცოდვების მონანიება ჩემი აზრით, არ არის მაინცადამაინც აუცილებელი. თავად ამას ახლობლებთან გულახდილობით ვახერხებ. ცოდვა თუ არ მეტკინა, მარტო მეტანია და სასულიერო პირთან აღსარება ზედაპირული ფორმა იქნება მხოლოდ. სულიერებაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ანდა შეიძლება ერთ ადგილზეც დავრჩეთ. მე კი სულ სხვა თემაზე მინდა თქვენთან საუბარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მედიცინა უძლურია, ონკოლოგიურად დაავადებულ პაციენტებს, ერთი გამოსავალი რჩებათ — ტკივილის შემსუბუქება. ეს გამოსავალი კი არ არსებობს. ქვეყნის ტრაგედიად მიმაჩნია, რომ საქართველოში ამის საშუალება არ აქვთ ავადმყოფების პატრონებს. პოლიკლინიკაში გამოწერილი რეცეპტით პოლიციის განყოფილებაში გაიცემა „მორფინ ჰიდროქლორიდი“, რომელსაც საერთო მორფთან არაფერი აქვს. უკრაინული წარმოშობის ეს „წამალი“საშინელ ინტოქსიკაციას იწვევს: საკუთარი თვალით ნანახი რომ არ მქონდეს, არც დავიჯერებდი. შემცვლელად აქვთ მხოლოდ „ტრამადოლი“ — სახსრების ტკივილის საწინააღმდეგო საშუალება, რომელიც ჩვენთან რატომღაც ნარკოტიკულ ნივთიერებად ითვლება. პალიატივის არ არსებობის გამო, ეს ავადმყოფები აუტანელი ტანჯვისათვის არიან განწირული. სისტემას რომ ებრძოლო, დიდი მატერიალური მხარდაჭერაა საჭირო. ამის საშუალება კი მე ნამდვილად არ მაქვს. ვისაც ხმას ვაწვდენ, მხოლოდ მხრებს იჩეჩავს და ეგ არის. შეშფოთების გამოხატვა ქართველებმა კარგად ვისწავლეთ მსოფლიო დემოკრატიის ზოგიერთი ვაიმამისაგან.

ბუნებით ოპტიმისტი ვარ, თუმცა პესემიზმის საფუძველს უფრო ხშირად ვაწყდები ცხოვრებაში. დარწმუნებით ვიცი, რომ იმაზე მეტ განსაცდელს არ მომივლენს უფალი, ვიდრე დატევა შეიძლია. ვცდილობ, ფიზიკურ ტკივილსაც საკუთარი ძალებით გავუმკლავდე. წარსულ შეცდომებზე ვიწყებ ფიქრს და ვაცნობიერებ, რომ მხოლოდ დალხენილი ყოფა განვითარების საშუალებას არ მომცემს. ყველანაირი სურვილებისაგან განთავისუფლება და ნირვანა ჩემი საქმე ნამდვილად არ არის. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. ჰიპოკრატეს ფიცი და საკუთარი კეთილდღეობა მხოლოდ ერთი ჭეშმარიტებით დავუკავშირე ერთმანეთს: ადამიანი თუ ტკივილს განიცდის, ცოცხალია, ხოლო, თუ სხვის ტკივილს — ადამიანია. ადამიანობაზე დიდი თანამდებობა კი ნამდვილად არ არსებობს.

როგორ დავეხმარო ახლობელს, რომლისგანაც მესმის „მტკივა“ და ვიცი, რომ ასეთ ძლიერ ტკივილს საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდება? ბევრს შეუძლია გამკლავება? იგივე სიტუაციისაგან კი დაზღვეული არავინაა. რატომ ვიხსენებთ ქართველები დავით ალმაშენებლის დროინდელ წარსულს სიამაყით? იმიტომ, რომ დავითის დროს ქართველები ერთიანნი იყვნენ სრულყოფილი სახელმწიფოს შესაქმნელად. უმეცარს და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალ ადამიანს არ ჰქონდა გადიდკაცების საშუალება. ალმაშენებელი გონებას და სიბრძნეს აღმერთებდა, აარსებდა აკადემიებს — სულიერი ცოდნის ასამაღლებლად. მან იცოდა, რომ ადამიანის ფსიქიკა უნდა გათავისუფლებულიყო მონობისაგან, რადგან მონა მშიშარაა და მხეცური ინსტიქტები მძლავრობენ მასში. სულიერად დაცემული ადამიანი კი ტირანიის აღმოცენების საუკეთესო საშუალებაა.

მეც იმიტომ შეგაწყინეთ თავი, რომ არ შემიძლია უსამართლობის გულგრილად ატანა, უსამართლობის მონობა და დუმილი. ვიცხოვროთ თავისუფლად. ვიცხოვროთ ერთმანეთის ტკივილით. ამით საკუთარ თავსაც ვუშველით და ერთმანეთთსაც. არ გატყუებთ, „კარგი რა, ცოცხალ ადამიანს რაღაც ასტკივდება, აბა როგორ იქნება ისე...“

ნინო ბაჯელიძე,
ათენი, საბერძნეთი

◎ ინფორმაცია

ვარსკვლავური „რიგოლეტო“ დიდ საკონცერტო დარბაზში

ჯუზეპე ვერდის 200 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში საოპერო ვარსკვლავების მიერ ოპერა „რიგოლეტო“ შესრულდება. კონცერტი ფონდ „იავნანას“, „ვი-თი-ბი“ ბანკის და იტალიის საელჩოს ორგანიზებით 3 ნოემბერს გაიმართება.

პაატა ბურჭულაძის მოწვევით კონცერტში მონაწილეობისთვის თბილისში ჩამოვა აღიარებული ესპანელი ბარიტონი, რიგოლეტოს პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი ხუან ხესუს როდრიგესი. ასევე, ვალენსიის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და არენა დი ვერონას მიწვეული დირიჟორი ომერ მეირ ველბერი. სოლისტები: ხუან ხოსე როდრიგესი, მზია ნიორაძე, რამაზ ჩიკვილაძე, ვანო გალუაშვილი, ოთარ ჯორჯიკია, მარიამ ნაჭყებია, ნუცა ზაქაიძე, გიორგი წამალაშვილი, აჩიკო გოგიტიძე, რაჟდენ აბესაძე, ნათია მელქაძე.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა. კონცერტის რეჟისორი დავით საყვარელიძეა.

ინტერპრესი

◎ ძიუდო

მსოფლიო „ბრინჯაოთი“ დაიწყეს

სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში დაიწყო ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობენ. ასპარეზობის პირველ დღეს 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლერი ჭელიძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (60 კილოში წარმომადგენელი არ გვყავდა). ქართველმა სპორტსმენმა პირველ წრეში მონღოლი ბატბაიარ ბარსურენი ვაზარით დაამარცხა, შემდეგ ავსტრალიელ მარკ ტობინსა და უზბეკ სობიტ ხუჟამოვს იპონებით აჯობა, მეოთხედფინალში კი თავად წააგო ბრაზილიელ ვიტორ ტორენტესთან, რითაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის შანსი დაკარგა. სამაგიეროდ, დამამშვიდებელში გადაერთო, სადაც ჯერ აზერბაიჯანელი დავუდ მამადოვი პირველივე შეტევით ვაზარიზე დააგდო და მაშინვე შებოჭა, „ბრინჯაოს ფინალში“ კი იაპონელ რიუჯუ ნაგაიამას ასევე ვაზარით სძლია.

გივი გაგუა

◎ ჭიდაობა

12 მედალი არტაშატიდან

სომხურ არტაშატში რაზმიკ გოლეციანის სახელობის მე-13 საერთაშორისო ტურნირი გაიმართა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში სომხები, ქართველები და რუსები გამოდიოდნენ. სულ — 142-მა მონაწილემ მოიყარა თავი. ჩვენმა ბიჭებმა 5 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ რამაზ დარჩიძე (55), შოთა ფარტენაძე (60), ომარ გურჯიძე (66), ტარზან მაისურაძე (74) და ნოდარ კურტანიძე (96). მაისურაძემ ფინალში თანაგუნდელი რევაზ მწითური დაამარცხა, კურტანიძემ კი (იგი ლუკა კურტანიძის ვაჟია) გივი მაჭარაშვილს სძლია. შალვა ხუციშვილს (60), ირაკლი გოგობერიშვილს (74), გიორგი ჩხარტიშვილს, მოგელი მეზვრიშვილსა (ორივე — 84) და გიორგი ანდრიაძეს (96) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

ვაჟა ნოსირელი

◎ ფეხბურთი

საოქმო ენით

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. „ა“ ჯგუფი. „ლევერკუზენი“ — „შახტარი“ 4:0, „მანჩესტერი“ — „სოსიედადი“ 1:0.

„მანჩესტერი“ — 7, „ლევერკუზენი“ — 6, „შახტარი““ — 4, „სოსიედადი“ — 0 ქულა.

ნ ნოემბერს ითამაშებენ: „შახტარი“ — „ლევერკუზენი“, „სოსიედადი“ — „მანჩესტერი“.

„ბ“ ჯგუფი. „რეალი“ — „იუვენტუსი“ 2:1, „გალათასარაი“ — „კოპენჰაგენი“ 3:1.

„რეალი“ — 9, „გალათასარაი“ — 4, „იუვენტუსი“ — 2, „კოპენჰაგენი“ — 1 ქულა.

ნ ნოემბერს ითამაშებენ: „იუვენტუსი“ — „რეალი“, „კოპენჰაგენი“ — „გალათასარაი“.

„გ“ ჯგუფი. „ანდერლეხტი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:5, „ბენფიკა“ — „ოლიმპიაკოსი“ 1:1.

„პარი სენ-ჟერმენი“ — 9, „ოლიმპიაკოსი“, „ბენფიკა“ — 4-4, „ანდერლეხტი“ — 0 ქულა.

ნ ნოემბერს ითამაშებენ: „პარი სენ-ჟერმენი“ — „ანდერლეხტი“, „ოლიმპიაკოსი“ — „ბენფიკა“.

„დ“ ჯგუფი. „ბაიერნი“ — „პლზენი“ 5:0, ცსკა — „სიტი“ 2:3.

„ბაიერნი“ — 9, „სიტი“ — 6, ცსკა — 3, „პლზენი“ — 0 ქულა.

ნ ნოემბერს ითამაშებენ: „პლზენი“ — „ბაიერნი“, „სიტი“ — ცსკა.

გიორგი შოთაძე

◎ ფარიკაობა

მუშკეტერთა სომხური ალაფი

1997 წელს და უფრო გვიან დაბადებული მოფარიკავეები სომხეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ. მედლებისთვის დაშნასა და რაპირაში მასპინძლებთან ერთად საქართველოს, რუსეთის, თურქეთისა და ქუვეითის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 11 კადეტი მუშკეტერი იცავდა. მათ ხუთი მედალი დაიმსახურეს. რაპირისტთა ფინალში რუსთაველმა მარიამ ცუხიშვილმა (მწვრთნელი — ზურაბ ჯაგაშვილი) თბილისელ ლიკა ჯიჯეიშვილს აჯობა — 15:11 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ადგილი ჯიჯეიშვილმა დაიკავა, ბრინჯაოს მედალი ანა მელიას (თბილისი) ხვდა. რუსთაველი ნიკა ვეფხვიაშვილი (რაპირა) და ქუთაისელი ქრისტინე მიქაძე (დაშნა) ნახევარფინალში დამარცხდნენ და მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

პირველ ნოემბერს უკრაინის დედაქალაქი ახალგაზრდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირ „ოქროს კარიბჭეს“ უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში ქუთაისელი სპორტსმენები — მარია ზაკირჩენკო (დაშნა) და მიხეილ მარდალეიშვილი (ხმალი) იასპარეზებენ.

ლაშა დიდია

◎ უკვდავება



ის მართლაც ლიდერი იყო

სექტემბერში ოლიმპიურ ჩემპიონ მიხეილ ქორქიას 65 წელი შეუსრულდებოდა.

ლეგენდარული კალათბურთელისა და ღირსეული მამულიშვილის საიუბილეო თარიღს ტოტალიზატორმა „ლიდერბეთმა“ და ტელეკომპანია „ჯმჯ“-იმ მართლაც რომ მისაბაძი ღონისძიება უძღვნეს, სადაც მისი ოჯახის წევრებმა და სპორტული სამყაროს წარმომადგენლებმა მრავალი საგულისხმო ეპიზოდი გაიხსენეს თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის ხანმოკლე ცხოვრებიდან. ბუნებრივია, განსაკუთრებული სითბოთი ორატორებმა მიხეილ ქორქიასა და მისი ბავშვობის მეგობრის, მიუნხენის ოლიმპიადის კიდევ ერთი გმირის — ზურაბ საკანდელიძის პარტნიორობას გაუსვეს ხაზი.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ „ლიდერბეთმა“ და „ჯმჯ“-იმ პატივი ვიტალი დარასელიას ნათელ ხსოვნასაც მიაგეს. როგორც ითქვა, მომავალში ანალოგიური შეხვედრები ტრადიციად დამკვიდრდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

საქართველო თუ ხორვატეთი?

ორიოდე დღეში — 27 ოქტომბერს ყატარში ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელიც სხვადასხვა საკითხს განიხილავს და 2017 წლის 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს პირველობის ფინალური ეტაპის მასპინძელსაც დაასახელებს. განცხადი ორ ქვეყანას აქვს შეტანილი — საქართველოს და ხორვატეთს. ვნახოთ, ვის მიანიჭებენ უპირატესობას.

სახელბურთო სამყაროში ქართველებს კიდევ ერთი დიდი პაექრობა ელით — წლეულს 30 ოქტომბერს სპორტის ამ სახეობაში სტარტს აიღებს ვაჟთა 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ევროპიდან მასში 20 გუნდი იასპარეზებს. პირველ ჯგუფში პლეი-ოფის ერთადერთი საგზურისთვის საქართველო, ლიტვა, ფინეთი და თურქეთი იბრძოლებენ. ჩვენი ქვეყნის ნაკრები (**მეკარეები —** შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე; **მოედნის მოთამაშეები** — სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, რატი მსხვილიძე, რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი, აკაკი ტალახაძე, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, გიორგი გვაზავა, უჩა გამზარდია, ზურაბ აბრამიშვილი, ოთარ ამირანაშვილი. მთავარი მწვრთნელი ჯორჯ რასიჩი, მწვრთნელები — ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე) ამჟამად სასპორტო კომპლექს „არენაში“ ემზადება ამ შეჯიბრებისთვის, ხოლო 26 ოქტომბერს კიევში გაემგზავრება და 27-28 ოქტომბერს უკრაინის ნაკრებთან ორ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს. 29 ოქტომბერს ჩვენი ბიჭები ვილნიუსში ჩაფრინდებიან და 30 ოქტომბერს ლიტველებთან შესარჩევი ეტაპის პირველ ორთაბრძოლას გამართავენ. 3 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ფინელებს 18 საათზე სპორტის სასახლეში უმასპინძლებს.

ლექსო ცინცაძე

◎ ვნახოთ!..

ვსხედვართ და ველოდებით,

საოცარი ხალხი ვართ ქართველები. ძალიან საოცარი და, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მუდამ რამეს ან ვინმეს ველოდებით.

ველოდებით პენსიას, ველოდებით შეყვარებულს, ველოდებით არსენალი-ჩელსის X2-ს, კოჰაბიტაციის დასასრულს ან ახალ სატელევიზიო შოუს.

ველოდებით და, სანამ ბოლთას ვცემთ, ან დივანზე წამოწოლილნი ტელეეკრანიდან სასურველი ინფორმაციის გაგონებას ველოდებით, მავანნი ჩვენს სახნავ-სათეს მიწებს ჰყიდიან, სტრატეგიულ ობიექტებს ასხვისებენ, ისეთ დოკუმენტებს აწერენ ხელს, რის შედეგადაც ე.წ. „მცოცავ ოკუპაციას“ ვღებულობთ, რის საპასუხოდაც ჩვენი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორები ყოველ სამ ფასიან შეშფოთებაზე, ერთ უფასო აღშფოთებას გამოთქვამენ.

მოკლედ რომ ვთქვა, ვსხედვართ და ველოდებით.

არადა, ჰოი საოცრებავ — ზოგჯერ მოლოდინიც ამართლებს. მაგალითად, პენსია გაიზარდა და 15-ის ნაცვლად 12-ში ჩაირიცხა (მერე რა, რომ სამ დღესაც არ ეყოფათ. მთავარია, რომ გაიზარდა და ჩაირიცხა). არსენალმა ფრე ითამაშა (მერე რა, რომ „ბავარიამ“ წააგო და „მაგარკუშიანმა“ ბილეთმა „გაასხა“. ფრე ხომ ითამაშა?). სოფელ №-ის რწმუნებული საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივად ხარჯვისთვის მოხსნეს (მერე რა, რომ დედაქალაქის მერი ისევ უგულავაა და კიდევ დიდხანს იქნება. პრინციპში ოდესმე ხომ გადაირჩევენ? მთავარია, რომ სამართლიანობა აღდგა და სოფელ №-ის რწმუნებული მოხსნეს). ეს და კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შემეძლო იმის დასადასტურებლად, რომ მოლოდინი ხანდახან ამართლებს.

კარგი, მოდით, ამ ლიტერატურულ და პათეტიკურ წიაღსვლებს თავი დავანებოთ და მოკლედ მიმოვიხილოთ ის მოლოდინები, რომლებმაც გასულ კვირაში გაამართლა (ან არ გაამართლა).

გასული კვირაც გადატვირთული იყო პრეზიდენტობის კანდიდატებისა და მოსახლეობის წინასაარჩევნო შეხვედრებით.

მართალი გითხრათ, ამ შეხვედრებში ბევრი ვერაფერი ახალი ვერ დავინახე. იფრქვევა დაპირებები „რძის მდინარეებისა და კისელის ნაპირების“ შესახებ და არის შეფარული რისხვა ოპონენტთა მიმართ.

იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტობის სულ რაღაც 23 კანდიდატია დარეგისტრირებული (აბა, იმ ქვეყნებს ხომ არ დავემსგავსებით, სადაც სამი, ჰა და ჰა, გაწელე, ოთხი კანდიდატი ძლივს უგროვდებათ. ეგ არაამბიციურები ეგენი!), მოსახლეობასთან შეხვედრებს აქტიურად მხოლოდ ექვსი საარჩევნო სუბიექტი, ნინო ბურჯანაძე, გიორგი მარგველაშვილი, შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე, ზურაბ ხარატიშვილი და დავით ბაქრაძე აწარმოებენ. ყოველ შემთხვევაში ე.წ. „ნაციონალური არხებით“ მხოლოდ მათი გადაადგილებები შუქდება. სრულიად შესაძლებელია, რომ დანარჩენი ჩვიდმეტიც აქტიურად მუშაობდეს ელექტორატთან, მაგრამ, სავარაუდოდ, ჩემს ტელეკოლეგებს უბნის ბირჟაზე, ან სამეგობროში გამართული დებატები, მაინცადამაინც არ აინტერესებთ (პრინციპში არც დანარჩენ მოსახლეობას).

ამ ექვსიდანაც, გინდა არ გინდა, მაინც სამ კანდიდატს შესცქერის მთელი დემოკრატიული სამყარო.

იმას, თუ ვის რა შანსი აქვს, ან რა შიდა დინებებია საარჩევნო პროცესში, თითქმის ყველა ექსპერტი და ჟურნალისტი განიხილავს. განიხილავს და ათას ჭორმართალს გვიყვება. მე მხოლოდ იმ შეხვედრების მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლები, რომლის დროსაც კანდიდატებმა თავიანთი უპირატესობა უნდა დაამტკიცონ.

საზოგადოება ამ ფართოფურთს სხვადასხვაგვარად აღიქვამს და საკმაოდ ნათლადაც გამოხატავს თავის შეფასებებს.

საზოგადოების სოციალურად აქტიური ნაწილის გარკვეული რაოდენობა, სოციალურ ქსელებში აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. ეს შეფასებები თუნდაც იმიტომაა საინტერესო, რომ გარდა სუბიექტური პოზიციისა (რაც აშკარად ჩანს), მრავლად გვხვდება ისეთი სტატუსები, რომლებიც იმ ხალხის შეხედულებებს გამოხატავს, რომელთაც ინტერნეტთან და კომპიუტერთან ხელი არ მიუწვდებათ.

ასევე მრავლად არის სხვადასხვა „არაცნობადი“ სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციები, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად მეტი სკანდალური მასალა მოიპოვონ და რადგანაც მათს ჟურნალისტებს პრეზიდენტობის კანდიდატთა პრესსპიკერები საკმაოდ აქტიურად ბლოკავენ, ამიტომ ინტერნეტმომხმარებელს რიგითი მოქალაქეების ფრაზებს თუ გამონათქვამებს აცნობენ.

რაღა დაგიმალოთ და, სოციალურ ქსელებში ყველაზე მეტად ბურჯანაძის, მარგველაშვილისა და ბაქრაძის მხარდამჭერები აქტიურობენ და ერთმანეთისგან ცა და მიწასავით განსხვავდებიან.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ბურჯანაძის მომხრეები იშვიათად ერთვებიან პოლემიკაში სხვა კანდიდატების მომხრეებთან. „მეოცნებეები“ კი მთავარ კედელზე, ანუ „გალავინსკზე“ შემომხტარ „ნაცებს“, რომლებიც წერტილოვანი დარტყმებით ცდილობენ თავიანთი პოზიციის გამოხატვას, ისე მიესევიან, რომ კომპიუტერის ეკრანზეც კი ჩანს ადენილი ბდღვირი და გაქცეული ნაცმოძელის ქუსლები.

მინდა, შემოგთავაზოთ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ის რამდენიმე ინფორმაცია, თუ პოსტი, რომლებიც საპრეზიდენტო კანდიდატების შეხვედრებს „ეძღვნება“.

> **„ხმას კი არა სიკვდილს მივცემთ, ეს ორწუთიანი გამოსვლა რა იყო? წერილის გადაცემა მინდოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვეცა. ტრიბუნიდან დაპირებები მოგვცეს, თუმცა, ტრიბუნიდან ჩამოვლისთანავე ეს დაპირებები დაავიწყდათ. ქვეყანაში უმუშევრობა სუფევს და პირადად მინდოდა მეთხოვა რაიმე დახმარება აღმოეჩინა. ყველა თავის სკამზე ზრუნავს,“ — აღნიშნა შეხვედრაზე მისულმა ქუთაისელმა ამომრჩეველმა ეთერ კაკაბაძემ (ნიუპოსტის ინფორმაცია).“**
>
> **„გამარჯობათ მეგობრებო. აჭრელებული არის თბილისი ბაქრაძის სურათებით. იმის მაგივრად, რომ დაეწერათ — ძებნაშია, აწერია პრეზიდენტობის კანდიდატი. ეს კოჰაბიტაციას დავაბრალო თუ იმას, რომ გამგებლები ჯერ კიდევ ნაც.ბანდის წევრები არიან?“**
>
> **„ ერთად ვაკონტროლოთ ხელისუფლება:**
>
> **1. დავიწყოთ იმ 15 000 ლარით, რომელიც ბიუჯეტიდან დახარჯა ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის, ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის და საპრეზიდენტო კანდიდატის მეუღლემ ეგვიპტის ერთ-ერთი კურორტიდან მობილური ტელეფონით საუბარში.**
>
> **(კი არაფერი, ახლა ვიღაცამ ტელეფონით იჭორავა, მარა რა ვიცი, თუ კონტროლია კონტროლი იყოს).**
>
> **2. თბილისის მერიის მიერ რესტორნებში, სტრიპტიზ ბარებში, დედაქალაქის მერის მეუღლის ბოტოქსში დ.ა.შ სისულელეებში დახარჯული თანხები (კი არაფერი, ახლა ვიღაცა გაერთო, მარა რა ვიცი, თუ კონტროლია კონტროლი იყოს).“**

კიდევ ბევრი რამ მოხდა გასულ კვირაში. ძალიან ბევრი რამ.

გარდა იმისა, რომ რესპუბლიკელმა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით ბერძენიშვილმა ტელეკომპანია მაესტროს პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ „ქართული სიმართლე მაშინაა სიმართლე, თუ ეს სიმართლე ევროპულ სიმართლეს და ამერიკულ სიმართლეს ემთხვევაო!“ და კიდევ ერთხელ დაგვანახვა რესპუბლიკური პარტიის ნამდვილი სახე, შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გავარდა გია სურამელაშვილი. ინდოეთს ციკლონი დატყდა, საქართველოს ნაკრებმა ვარჯიში დაიწყო. კიდევ სხვა უამრავი აქტუალური და საჭირბოროტო მოვლენა მოხდა, მაგრამ ბუნებრივია, ყველას ვერ განვიხილავ. ამიტომ ახლა დაგემშვიდობებით და შეგახსენებთ, რომ ახალი არჩევნების მოლოდინამდე 2 დღეღა დარჩა!

გია გაბრიჭიძე

სულთათანა

თემურ ნინუა

დიდი დანაკლისი განიცადა რუსთაველის თეატრმა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **თემურ ნინუა,** ხელოვანი, მხატვარი და უბრალოდ, შესანიშნავი ადამიანი, არაჩვეულებრივი თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, მოსიყვარულე მამა და მეუღლე.

თემურ ნინუა სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. მთელი ცხოვრება თან სდევდა ტკივილი — აღარ შეეძლო მშობლიურ ქალაქში ჩასვლა.



თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ დიდი წარმატებით მოღვაწეობდა ქართულ თეატრში. 30 წელია, იგი რუსთაველის თეატრის დამდგმელი მხატვარია. 1979 წელს თეატრალურ მხატვართა პრაღის საერთაშორისო კვადრენალიზე საუკეთესო ნამუშევრისათვის ოქროს მედლით დაჯილდოვდა. რამდენჯერმე მიენიჭა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია — წლის საუკეთესო მხატვარი. იგი აფხაზეთის დამსახურებული მხატვარი გახლდათ, მიღებული აქვს პრემია „დურუჯი“ და პეტრე ოცხელის პრემია.

ბატონ თემურს გაფორმებული აქვს სპექტაკლები თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის, ბრატისლავისა და ვილნიუსის თეატრებში. რუსთაველის თეატრში მის მიერ გაფორმებულ სპექტაკლთაგან აღსანიშნავია: „დაკრძალვა კალიფორნიაში“, „რომაული კომედია“, „ას ერგასის დღე“, „კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით“, “სამანიშვილის დედინაცვალი“, „ამალამ მგონი იქნება ქარი“„ და ლენა“, „ჰამლეტი“, „მუსუსი“, „პალატა 16“, „სტიქსი“, „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და. . . პრეზიდენტი“, „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“, „ნადირობის სეზონი“. მას ავადმყოფობის პერიოდშიც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი საქმიანობა და ბოლო დღეებამდე მუშაობდა ვაუდი მუავადას პიესაზე „ხანძარი“.

თემურ ნინუას მხიარული ფერები უყვარდა — წითელი, ულტრამარინი, ოხრა... უფრო კარგად ფარსი და ტრაგიფარსი გამოსდიოდა. უყვარდა ზღაპარი, ფანტასტიკური სიცრუე, გამომგონებლობა, გათამაშება და ჩვეულებრივი საგნები მის ხელში უჩვეულო სახეს იძენდნენ.

26 ოქტომბერს რუსთაველის თეატრი დიდი გულისტკივილით გამოემშვიდობება თემურ ნინუას. ბატონო თემურ, თქვენ თან გაგყვებათ ჩვენი ცრემლი და სიყვარული. მადლობას გიხდით სითბოსთვის, სიყვარულისთვის, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

რუსთაველის თეატრი

◎ ალიან-ჩალიანი

ქობულეთში შემოვლითი გზა გაისნა

ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით შავლიაშვილმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ ქობულეთის შემოვლითი გზა გახსნეს.

ქობულეთის შემოვლითი გზა ცენტრალური ავტომაგისტრალის ნაწილია, რომელიც თბილისი-ბათუმის მონაკვეთზე მოძრაობას კომფორტულს ხდის.

როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა და პროექტი გათვალისწინებულ ვადებში დასრულდა. ნარმანიას თქმით, წლების განმავლობაში, ქობულეთის მონაკვეთზე ხმაური დისკომფორტს უქმნიდა დამსვენებლებს და აღნიშნული გზა, როგორც საკურორტო, ასევე ტრანზიტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ქობულეთის შემოვლითი გზის სიგრძე 12 კმ-ია.

როგორც არჩილ ხაბაძემ განმარტა, ყოველდღიურად სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე 1000-მდე სატვირთო მანქანა, ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი გადაადგილდება, აღნიშნული გზა კი მოძრაობას განტვირთავს. აღნიშნული გზა მნიშვნელოვნად გააიოლებს სატრანზიტო მოძრაობას თურქეთ-საქართველოს მიმართულებით.

ექსპორტში პირველობას მსუბუქი ავტომობილები, იმპორტში კი ნავთობი იკავებს

„საძსტატის“ მონაცემებით, სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში მსუბუქი ავტომობილების წილმა 512 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთელი ექსპორტის 25 პროცენტია. ფეროშენადნობების ექსპორტი უდრიდა 183 მლნ აშშ დოლარს, ხოლო მისი წილი მთლიან ექსპორტში 9 პროცენტს. მესამე ადგილზე აზოტოვანი სასუქების ჯგუფი დაფიქსირდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 99 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 5 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2013 წლის იანვარ-სექტემბერში კვლავ ნავთობი და ნავთობპროდუქტები რჩება, რომლის იმპორტმა 668 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 12 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 516 მლნ აშშ დოლარით, რაც იმპორტის 9 პროცენტია. მესამე ადგილზეა სამკურნალო საშუალებების სასაქონლო ჯგუფი 199 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4 პროცენტი).

ინტერპრესი

რეზო ჭოჭუა, რუსლან რუსია, შიო სურმავა, ზურაბ ჯორჯიკია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ახლო მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება და მეოჯახე

მერაბ ჩიქოვანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ტურაბელიძე, გიორგი ლაშხი, ნუგზარ გელოვანი, კოტე მახიტაშვილი, ბიძინა ჩიგოგიძე, ლევან ჯაფარიძე სამძიმარს უცხადებენ გოჩა ვაშაძეს და თამარ სარიშვილს ვაჟიშვილის

ლევან ვაშაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი თეატრალური მხატვრის, სახელმწიფო და პეტრე ოცხელის პრემიების ლაურეატის

თემურ ნინუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ტესტი

კარგი მშობელი ხართ?

გთავაზობთ ტესტს, რომელიც დაგეხმარებათ, განსაზღვროთ, ხომ არ უშვებთ უხეშ შეცდომებს ბავშვის აღზრდაში.

1. როდესაც ბავშვისთვის დაბადების დღისთვის საჩუქარს ყიდულობთ, უფრო მეტად არჩევთ იმ ნივთს, რომელიც...

ა) მოიტანს სარგებელს;

ბ) გაახარებს მას.

2. რომელი სათამაშოები მოსწონს ყველაზე მეტად (მოსწონდა შესაბამის ასაკში) თქვენს ბავშვს?

გ)კონსტრუქციები და მანქანები;

დ) რბილი სათამაშოები და თოჯინები.

3. როდესაც ბავშვს ეთამაშებით ახალ, მისთვის ცოტა რთულ თამაშს, თქვენ...

გ) ცდილობთ დაემორჩილოთ მას, რომ არ დაითრგუნოს მისი თვითშეფასება;

დ) არ ემორჩილებით, ვინაიდან დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვმა უნდა ისწავლოს ცხოვრების სირთულეებთან ბრძოლა.

4. როდესაც ბავშვს ასწავლიან დაიცვას დღის რეჟიმი, მშობლები...

ა) ასწავლიან მას თავად განაგოს თავისი დრო;

ბ) ეწევიან რისკს, ხელი შეუშალონ მისი პიროვნების ბუნებრივ განვითარებას.

5. მიგაჩნიათ, რომ თქვენი ბავშვის ხასიათი უფრო მეტად ჰგავს...

ა) თქვენსას;

ბ) მეუღლის ხასიათს.

6. ხშირად ხდება, რომ თქვენი ბავშვი ავლენს დემონსტრაციულ გაუგონლობას...

ა) დასჯის პასუხად;

ბ) ყოველგვარ მიზეზგარეშე.

7. თუ უკმაყოფილო ხართ ბავშვით, ცდილობთ...

გ) აგრძნობინოთ ეს მას თქვენი ქცევით, რაიმე პრეტენზიის გამოუთქმელად;

დ) აუხსნათ მას, რომ ის გაკიცხვას იმსახურებს.

8. ღირს ბავშვის დასჯა აგრესიული ქცევის გამო მახლობელ ადამიანებთან დაკავშირებით?

გ) დიახ, ბავშვმა უნდა ისწავლოს ახლობლების დაფასება და გაიგოს, რომ მათ მისთვის ყოველთვის სიკეთე სურთ;

დ) არა, ეს ბავშვს ასწავლის დამალოს ან დათრგუნოს თავისი აგრესია, თუმცა მეტი არაფერი.

9. მიგაჩნიათ მიზანშეწონილად ბავშვების დასჯა ცელქობის ან საქციელის ვერ განხორციელებული მცდელობისთვის?

ა) დიახ, ეს ასწავლის ბავშვს, იყოს უფრო დისციპლინირებული და, ამას გარდა, თავიდან აგვაცილოს შემდგომი მსგავსი მოქმედება;

ბ) არა, ბავშვი შეიძლება დასაჯო მხოლოდ კონკრეტული დანაშაულისთვის.

10. ყველაზე მეტად რა მოსწონს თქვენს ბავშვს?

ა) როდესაც მას ექცევით, როგორც მოზრდილს;

ბ) როდესაც აძლევთ საშუალებას იგრძნოს თავი ბავშვად.

12. როდესაც ეხმარებით ბავშვს საშინაო დავალების შესრულებაში, მიგაჩნიათ, რომ...

გ) ასე ასწავლოთ მას იყოს მუყაითი და კეთილსინდისიერი;

დ) საერთოდ, ხელს უშლით მისი დამოუკიდებლობის განვითარებას.

13. გაიხსენეთ, რა აზრები მოგდიოდათ, უწინარეს ყოვლისა, როდესაც გაიგეთ, რომ ბავშვი გეყოლებოდათ?

ა) რომ ის იქნება წარმატებული, მიაღწევს ბევრ რამეს;

ბ) რომ ის განამტკიცებს თქვენს ოჯახურ ურთიერთობებს, მიანიჭებს დამატებით აზრს საოჯახო ცხოვრებას.

14. როდესაც ხდება ოჯახური დავის მოწმე, თქვენი ბავშვი ჩვეულებრივად ცდილობს...

გ) იკისროს შემრიგებლის როლი;

დ) გაიქცეს, დაიმალოს.

დაიანგარიშეთ ასოები ა, ბ, გ და დ თქვენს პასუხებში. შემდეგ შეადარეთ „ა“ პასუხების ოდენობა „ბ“ პასუხების ოდენობას, და „გ“ პასუხების ოდენობა „დ“-სას. მონახეთ თქვენი ვარიანტი

ა მეტია ბ-ზე, გ მეტია დ-ზე. თქვენ გადაწყვიტეთ, ჩაუნერგოთ თქვენ შვილს მთელი თქვენი სული, გაქვთ მისი დიდი იმედები. თქვენთვის ეს ბავშვი — არის შესაძლებლობა განახორციელოთ ცხოვრებაში თქვენი განუხორციელებელი ოცნებები. მაგრამ დაფიქრდით, სჭირდება კი ეს მას? თუ ბავშვი გადაწყვეტს, იაროს თავისი გზით, ჩაიხშვეთ საკუთარ თავში უსიამოვნების საყვედურები.

ა ნაკლებია ბ-ზე, გ —მეტია დ-ზე. ალბათ, თქვენ მთელი ძალით ცდილობთ, დაიცვათ ბავშვი ყველა უბედურებისგან დედამიწაზე. მაგრამ ეწევით რისკს, გამოზარდოთ სასათბურე მცენარე! განსაკუთრებით თუ ბიჭი გყავთ. როდესაც ათავისუფლებთ ბავშვს თქვენი მეურვეობისგან, თქვენ ეხმარებით მას გახდეს დამოუკიდებელი.

ა მეტია ბ-ზე, გ — ნაკლებია დ-ზე. ძალიან ცდილობთ, აღზარდოთ თქვენი ბავშვი კარგ ადამიანად, ჩაუნერგოთ მას ხასიათის კარგი თვისებები, ასწავლოთ ცხოვრება. მაგრამ თქვენი ბავშვი — ჯერ მხოლოდ ბავშვია. გამოიჩინეთ მოთმინება და ნუ იქნებით ნამეტანი მომთხოვნი და კატეგორიული როგორც თქვენს ქცევაში, ისე სიტყვებში, რათა არ მიაყენოთ მორალური ტრავმა თქვენს შვილს.

ა ნაკლებია ბ-ზე, გ ნაკლებია დ-ზე. არ არის გამორიცხული, რომ ბავშვის აღზრდა თქვენი კომპეტენციის მიღმაა. ეს აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა. ალბათ, თავს დემოკრატიული მშობლების რიცხვს მიაკუთვნებთ, ცდილობთ, არ გადაღალოთ ბავშვი ზედმეტი კონტროლით და არ ისწრაფვით თავს მოახვიოთ მას თქვენი მზრუნველობა. მაგრამ ბავშვისთვის, რომლის ქცევასაც მშობლები სულ არ აკონტროლებენ, ძნელი იქნება ისწავლოს თვითკონტროლი, რაც აუცილებლად შეუქმნის მას პრობლემებს უკვე მოზრდილ ცხოვრებაში.

თუ სხვაობაა ა და ბ-ს, გ და დ-ს შორის აბსოლუტური სიდიდით (მაგალითად, ა მინუს ბ უდრის 1-ს; დ მინუს გ უდრის 2-ს), შეიძლება თქვენ მოგილოცოთ — თქვენ შესანიშნავი მშობელი ბრძანდებით. თქვენ შეგიძლიათ, იყოთ ზომიერად მკაცრიც, ზომიერად მზრუნველიც. თქვენ კარგად იცით და გესმით თქვენი შვილისა და გაქვთ მასზე გავლენა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაუშინაურ ვაზეყეპილან

„ივანიშვილი მემკვიდრედ სუსტ პოლიტიკოსს დაასახელებს“

— ამბობს კოალიცია „ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი დავით ლილუაშვილი, — დაასახელებს მარგველაშვილის მსგავს პოლიტიკურად სუსტი ბეგრაუნდის მეორე ახალბედა პოლიტიკოსს, რომელიც კოლიზიაში არასოდეს არ მოვა თავის თანაგუნდელებთან. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საპარლამენტო შემადგენლობას და კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოს. და, რაც მთავარია, ვინაიდან ივანიშვილი აპირებს არასამთავრობო სექტორიდან გააკონტროლოს ხელისუფლება, მისი პოლიტიკური მემკვიდრე, ალბათ, ყოველთვის მოუსმენს მას და მიიღებს მისგან მითითებებს...

„ახალი თაობა“

პრეზიდენტს რესტორან „ლა ტრუფეში“ ვახშამი ჩაუშალეს

რესტორანთან, სადაც მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა, „პირველის“ ცნობით, ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფმა აქცია გამართა, რომელსაც უფლებადამცველები და ყოფილი პოლიტპატიმრები შეუერთდნენ. როგორც აქციის მონაწილენი აცხადებენ, სააკაშვილს ვადის ამოწურავამდე სამი დღე დარჩა და ამ დროის განმავლობაში ყველგან გაჰყვებიან და მის მიერ ჩადენილ დანაშაულებს შეახსენებენ. ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული. მიხეილ სააკაშვილმა რესტორანი უკანა გასასვლელიდან დატოვა.

„რეზონანსი“

წესრიგის დამრღვევთათვის კანონმდებლობა შერბილდა

სასამართლოში წესრიგის დამრღვევთა უფლებების დასაცავად კანონმდებლობა შეიცვალა. ამ მიმართულებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი „შერბილდა“. ცვლილებების თანახმად, სასამართლოში წესრიგის დამრღვევ პირებს მოსამართლე თავდაპირველად ზეპირ შენიშვნას მისცემს და არასათანადო ქცევის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. მხოლოდ აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მიიღებს სხდომის თავმჯდომარე პირის დაჯარიმების ან სასამართლოდან გაძევების გადაწყვეტილებას.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ანეკდოტები

— მიხო, ადექი კაცო, რა ხანია, მამლებმა იყივლეს! — ეჯაჯგურება ქმარს მარო.

— მერე იყივლოს რა, მე რა, დედალი ვარ?

* * *

— მითხარით, თუ შეიძლება, თქვენი დაბმული ძაღლი თავისთან მიმიშვებს?

— რა თქმა უნდა! სხვაგვარად როგორ უნდა გიკბინოთ?

ძალის ფიქრები:

თვრამეტ წლამდე — არავის, არავის, არავის.

თვრამეტიდან ოცდახუთამდე — ერთს, ერთს, ერთს.

ოცდახუთიდან ოცდათხუთმეტამდე — ყველას, ყველას, ყველას.

ოცდათხუთმეტიდან მერე — ვის?

* * *

— ეძიმო, ექიმო, ჩვენ იგი დავკარგეთ! — შეძრწუნებულია მედდა.

— ასე ძალიანაც ნუ განიცდით, ასეთებით მთელი პალატაა სავსე.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24